პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

14 თებერვალი ხუთშაბათი 1974

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 38 (15859)

ხუთწლედის გასაქანაზე ნელ-ტემპიანი შეფასება

საკავშირო ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდობა ახალი ძალით დაადასტურებს თავის ერთგულებას ლენინის ანდერძისადმი, კომუნისტური პარტიის საქმისადმი, დამკვრელური შრომით და ფრიადზე სწავლით აღნიშნავს ხუთწლედის მეოთხე წელს. სამშობლოს სწამს ახალგაზრდა თაობისა, მისი შრომისმოყვარეობისა, სიმტკიცისა და თავდადებისა.

საკავშირო ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი.

მომსახურების დიდი უბანი

ტრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ხუთ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკაშ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშის მიღებამ განსაკუთრებული ხიბარული და შემოქმედებითი აღმავლობა გამოიწვია ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელში. ეს საპატიო ჯილდო საქართველოს მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, ინტელიგენციას ავალებს დამკვრელური შრომით უპასუხონ იმ დიდ ზრუნვასა და ამაგს, რასაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა იჩენენ საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, ხალხის კეთილდღეობის კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის.

დიდი და საპატიო ამოცანები აკისრია ჩვენს ხალხს მიმდინარე ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის დავალებათა შესრულებისათვის. მათ წარმატებით გადაწყვეტაში განსაკუთრებული შნიშვნელობა ენიჭება მომსახურების სფეროს დარგების გამარჯულ მუშაობას და კერძოდ ხარმხმარებლო კოოპერაციას.

ჩვენი სოფლის მშრომელებს კოოპერატორებთან ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ, ეს კი მათ ავალებს ამოღაწეონ თანამედროვე შოთხოვნების დონეზე, მთელი გულით, შემართებით იყონ მშრომელი ხალხის, მთელი მოხახლეობის მომსახურების გეგმებისა და ამოცანების შესრულებისათვის, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებისა და ნაკისრი ვალდებულებათა უცილობლად განაღდებისათვის. კრებებზე ანგარიშები, კამათი და ხალხური ხალ-ბაასი უნდა მიეძღვნას სოფლად ვაჭრობის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე განვითარების, სამეურნეო პროდუქტების, ნედლეულის ორგანიზებულად შესყიდვის მკვეთრი გაუმჯობესების, უფაირათობის, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის დარღვევების თავიდან აცილების, საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის, პატიოსნების, მაღალკულტურულობის, წესრიგის საკითხების.

უაღრესად რთული და პასუხსაგები ამოცანები უნდა გადაწყვიტონ წელს საქართველოს კოოპერატორებმა. მათ სოფლის მშრომელებს უნდა მიმყიდონ 990 მილიონი მანეთის საქონელი, რაც 109 მილიონით მეტია გასული წელთან შედარებით. ნარეწველო საწარმოები გამოუშვებენ 200 დასახელების ფართო მოხმარების საქონელს. კაპიტალურ მშენებლობაზე დაიხარჯება 21 მილიონი მანეთი, უნდა დაამზადონ დიდძალი ბოხტნეული, ხილი, ციტრუსები და ა. შ.

ამ ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა იქნება აღმოიფხვრას ის ხერხიზული ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ აქვს რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციას. ეს ნაკლოვანებანი ახლა ძირითადად გამოიხატება საქონელბრუნვის გეგმების შესრულებასა და სხვა სამეშაოთა მიმდინარეობის არარიტმულობაში. ჯერ კიდევ ხშირად არის მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუების, შეკრთამეობის, მომხვეჭელობისა და სხვა დანაშაულობათა ფაქტები, დაბალია ვაჭრობის კულტურა. ზოგიერთი რაიონის ხავაკრა ქსელს აკლია პირველადი მოთხოვნილების საგნები.

რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციებში გამართული საანგარიშო-საარჩევნო კრებები ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ მართვისა და კონტროლის ყველა ორგანოს განსამტკიცებლად მომზადებული, პატიოსანი და პრინციპული მუშაკებით. კოოპერატორთა ცხოვრებაში ეს მნიშვნელოვანი კამპანია უნდა წარიმართოს სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცების, მინდობილი ხაქმისადმი მუშაკების პასუხისმგებლობის ამაღლების ნიშნით.

ჩვენმა კოოპერატორებმა წლევანდელი საანგარიშო-საარჩევნო კრებები უნდა გამოიყენონ იმისათვის, რომ ხალხის, მეპაიეების, ამომრჩევლების სახსენებელზე გაბედულად გამოიტანონ თავიანთი ნამოღვაწარი, გულწრფელად თქვან, თუ როგორ ემსახურებიან ისინი სოფლის მშრომელებს, როგორ აკმაყოფილებენ მათს მოთხოვნებს, რა ჰქონდათ ცუდი, რა იყო მისაბაძი და სამაგალითო, ვინ უშლის მათ ხელს მუშობაში და როგორ განდევნონ ისინი თავიანთი რიგებიდან.

უსმობლად ვებრძოლოთ ყოველგვარ დარღვევასა და გადახვევებს, წარმატებით შეასრულოთ გეგმები — ეს მთავარი დევიზი, მთავარი ამოცანა, რომლის ცხოვრებაში მტკიცედ გატარებისათვის უნდა იბრძოლონ პარტიულმა ორგანიზაციებმა, მომსახურების სფეროს კომუნისტებმა.

საქართველოს კოოპერატორთა ახლანდელი ანგარიშგება-არჩევნები სერიოზული გამოცდა, იმ მუშაობის შედეგების ნამდვილი შეჯამება იქნება, რაც მათ გასწიეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მიუროს გასული წლის 2 თებერვლის დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლაში.

დე საქართველოს კოოპერატორთა საანგარიშო-საარჩევნო კრებების დადგენილებებს, ამ მნიშვნელოვანი კამპანიის მთელ შედეგებს მოჰყვეს კეთილი საქმეები, ხალხის სამსახურისათვის თავდადება, პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება.

ხუთწლედს — ახალგაზრდული შემართება!

ნდობას ვამართლებთ

ჩვენი ბრიგადა შარშან ჩამოყალიბდა. ის დღე ჩვენთვის დაუვიწყარია, რადგან კომბინატის დირექციამ ახალგაზრდებს დიდი ნდობა გამოგვიცხადა და იმ პროდუქციის შეკერვა დაგვიგეო, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა ხარისხის ნიშანი.

ბრიგადაში 16 ახალგაზრდა მუშაობს. თვითეული მათგანი ფლობს 3-4 ოპერაციას, რაც საშუალებას იძლევა ნაკლები მოშახილით მეტი პროდუქცია გამოვუშვათ. ეს კი ზრდის საწარმოო მაჩვენებლებს. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ბრიგადის მინძილზე ბრიგადამ გეგმის ზეგით გამოუშვა 9 ათასი ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი. მარტო შარშან დეკემბერში დავამზადეთ 1.210 ცალი ზეგეგმითი ტრიკოტაჟის ნაწარმი.

ბრიგადის ერთ-ერთ ძირითად რეზერვად მაინც საწარმოო შრომითი დისციპლინის განმტკიცება ითვლება. ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შეკიბრების შემაჯამებელი კომისია, რომელიც კომკავშირის კომიტეტთან არის შექმნილი. დისციპლინის საკითხის პრინციპული განხილვა ზრდის თვითეული მუშის პასუხისმგებლობას კოლექტივის წინაშე.

ჩვენს ბრიგადაში ავერი 3-4 თვეა არ ყოფილა საწარმოო დისციპლინის დარღვევის არც ერთი შემთხვევა.

ხუთწლედის მეოთხე, განსაზღვრელ წელს მეტი ენთუზიაზმი იტყობა ბრიგადის სამშენებლობას. ახალ ვალდებულებებში, რომლებიც ბრიგადამ აქტივის კრებაზე იკისრა, ნათლად არის გამოკვეთილი ბრიგადის თვითეული წევრის ვალდებულება, ვახდეს კომუნისტური შრომის დამკვრელი.

იანგარი კარგად დავამთავრეთ და გეგმამაყენა, რომ კომკავშირის ყრილობის გახსნის დღეს ვგეგმავთ მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით.

ნ. კომახიძე,
თბილისის სართავ-სატრიოტაჟო კომბინატის № 1 სამკერვალო საამქროს მკერავთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი.

ქიმიკოსთა ნობათი

რუსთავი. (საკ. კორ.). შეჯამებულია მეცხრე ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის იანვრის მუშაობის შედეგები. ქიმიური ბოჭკოს ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ი. გრძელიძე, პარტიული კომიტეტის მდივანი შ. შარაბიძე, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ზ. ჯაფარიძე) გადაჭარბებით შეასრულა როგორც პროდუქციის გამოშვების, ისე პროდუქციის რეალიზაციის თვიური დავალებები. საფეიქრო მრეწველობამ დიდძალი რაოდენობით მიიღო რუსთავის მარკის ხელოვნური აბრეშუმის ძაფი და კორდი.

ქიმიკოსებმა მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს როგორც შრომის ნაყოფიერების ზრდის, ისე პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში. აქ სასახელო წვლილი შეიტანა ქარხნის ახალგაზრდობამ.

კვლავ მოწინავეთა რიგებში დგანან სართავი და კორდის საგრეხი საამქროების კოლექტივები (უფროსები გ. კვანტრიშვილი, ჯ. ძნელაძე). მათ პირველებმა შეასრულეს იანვრის სახელმწიფო დავალება.

ქარხანაში ახალგედა მოვიდა

ბათუმი. (საკ. კორ.). ახალგაზრდამ გადაწყვიტა ატარებდეს მუშის ხაპატიო წოდებას, დაეუფლოს რაიმე სპეციალობას, შემდეგ კი გარკვეული წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში, მაგრამ კონკრეტულად ჯერ მან არ იცის რა გზას დაადგეს, რა პროფესია აირჩიოს, არ იცნობს საწარმოს კოლექტივს.

უამრავ კითხვებს და საწარმოში პირველად მასვლით გამოწვეულ მღელვარებას თავი რომ გაართვას, ბათუმის „ელექტროელსაწყოს“ ქარხანაში დირექციამ შექმნა კადრების ხაზოგადოებრივი განყოფილება, სადაც ახალბედა გაეცნობა ქარხნის ისტორიას, შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებს, განუმარტავენ, რა სპეციალობებს შეიძლება დაეუფლოს. ახალი „კონსულტაციის“ შემდეგ ახალგაზრდა ირჩევს მისთვის ხასურველ პროფესიას. ახე თან-დართან იგი ეცნობა კოლეკტივსა და საწარმოს.

მუშაობის დაწყებიდან სამი თვის შემდეგ ხადღესასწაულო ვითარებაში ხდება ახალბედების მუშად ჩარიცხვა. მათ გადახცემენ საბუშაო იარაღს და გზას უღლოცავენ დიდი ახპარეზისაკენ.

ყურადღება, გულისხმიერება და დახმარება ბევრად უადვილებს ახალგაზრდას მტკიცედ ჩადგეს მოწინავე მუშათა კლასის რიგებში.

კარგი დასაწყისი

ბიათურა. (საკ. კორ.). მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წელი კარგად დაიწყეს ბიათურელმა მშენებლებმა. ბიათურის მარგანეცშენის № 8 ტრესტის კოლექტივმა იანვარში 335 ათასი მანეთის სამშენებლო სამუშაოების ნაცვლად შეასრულეს 342 ათასი მანეთის სამუშაოები, რაც დავალების 102 პროცენტია. თვიური დავალების შესრულება, და ისიც ზამთარში, ხშირი შემთხვევა როდია ბიათურელი მშენებლებისთვის. ეს წარმატება მათ უნდა განამტკიცონ და დაამკვიდრონ.

ისიც აღსანიშნავია, რომ მშენებლობის იანვრის გეგმები საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს ბიათურმშენისა და ბინათმშენებლობის სამმართველოებს კოლექტივებმა, რომლებსაც გიორგი და ზაურ კაპანძიები ხელმძღვანელობენ. თავდადებულად შრომობენ მშენებელთა კომპლექსური ბრიგადები, რომლებსაც სოციალისტური შრომის გმირი გრ. ჭოხონელიძე და ლენინის ორდენსანი გ. ქურციკიძე უძღვებიან.

ᲓᲦᲔᲡ ᲔᲜᲒᲣᲠᲯᲔᲡᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲒᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲑᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘᲐ

მეუხდავად ცუდი კიდრომეტეოროლოგიური პირობებისა, მნენურკმლის მშენებლებმა ივნვარში მაღალი ტემპი შეინარჩუნეს და თვიურ დავალებას დიდად გადაჰაჯარბეს, მაუს ანგარიშზეა შესრულებული 1 მილიონ 955 ათასი მანეთის ღირებულების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაობი, გეგმა კი 1 მილიონ 930 ათასი მანეთია სამუშაოთა შესრულებას ითვალისწინებდა.

ენგურჰესელებმა დამკვრელურად დაიწყეს განმსაზღვრელი წლის მეორე თვეც, ანვლილ 12 დღეში შეასრულეს 700 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაობი. სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდ წარმატებებს მიაღწიეს სამშენებლო სამმართველოთა კოლექტივებმა. რომლებსაც პ. ბიჩეკი და უ. გოჯიაშვილი უძღვებიან.

იანგარში ბეტონის გადასაგდები არხების მშენებლობა დამკვრელურ ობიექტად იქნა გამოცხადებული. „ა-ვ“ დამთავრდა № 1 არხის გაყვანა. ამჟამად მიმდინარეობს № 2 არხისა და სათავე ნაგებობის მშენებლობის სამუშაობი. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მიმდინარე წელს ენგური შეუერთდეს ვაღის ხელოვნურ ზღვას, რათა ვარდნილპესებმა მთელი ლატვირთვით იმუშაონ.

ცხარე დღეებია თაღოვანი კაშხალის მშენებლობაზე. დღითიდღე მაღლა მიიწევს უნიკალური კაშხალი. მის ტანში უკვე ჩასხმულია 239 ათასი კუბური მეტრი მაღალი სიმტკიცის ბეტონი.

ენგურზე დამკვრელური შრომის დღეებია, აქ არ არსებობს დიდი და პატარა საქმე. ჰიდრომშენებლები შრომითი მამაცობის ზაგალითს აჩვენებენ.

ლ. ბარძაია,
გაზეთ „კომუნისტის“ საგუშაგოს უფროსი ენგურჰესის მშენებლობაზე.

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲔᲑᲘ — ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲕᲐᲡᲢᲐᲖᲔ

ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ საწარმოო მიღწევებით ეგებება საქართველოს კომკავშირის XXX ყრილობას რესპუბლიკის ახალგაზრდობა. განსაკუთრებით მაღალ პასუხისმგებლობას გრძნობენ ისინი, რომლებსაც კომკავშირელებმა ნდობა გამოუცხადეს და ყრილობის დელეგატად აირჩიეს. **ᲮᲘᲠᲐᲛᲘᲗᲐ:** საქართველოს ალკაშ XXX ყრილობის დელეგატები (მარცხნიდან): თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ საქხოვი წარმოების ქვეოსტატი, კომკავშირის ბიუროს მდივანი ი. ასლამაძე და კომუნისტური შრომის დამკვრელი მჭყოველი დ. ტაბატაძე.

ხ. ჯილაძის ფოტო.

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘ — „ᲛᲝᲡᲤᲘᲚᲛᲘᲡ“ ᲓᲠᲝᲨᲐᲖᲔ

ᲩᲕᲔᲜ მრავალეროვნული კინემატოგრაფიის საგანძურში ღირსეული წვლილი შეაქვს სტუდია „მოსფილმის“ ხუთიათასიან კოლექტივს, რომელსაც 50 წელი შეუსრულდა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის სტუდია დაჯილდოდა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით. მოსფილმელთათვის შთამაგონებელი შემოქმედებითი სტიმული გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევის** მისალმება სტუდიისადმი.

13 თებერვალს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა სტუდიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **პ. ნ. დემიჩევი,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ბ. ბ. გეორგაძე,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე **ვ. ო. შაურო,** სსრ კავშირის სახკინოს თავმჯდომარე **ო. ტ. ერმაში,** პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები, კინოხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები, სოციალისტური ქვეყნების კინემატოგრაფისტთა დელეგაციების ხელმძღვანელები.

სხდომა გახსნა სტუდიის პარტკომის მდივანმა **ი. ვ. დმიტრიევმა.**

შეკრებილებმა დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს სპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევის** მეთაურობით.

სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ნ. ვ. პოდგორნიმ,** რომელსაც სხდომის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ն. Վ. ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ძვირფასო ამხანაგებო!

დიდი კმაყოფილებით გადმოვცემ დღეს ამ საზეიმო ვითარებაში „მოსფილმის“ სტუდიას — საბჭოთა კინოხელოვნების ფლაგმანს — ოქტომბრის რევოლუციის ორდენს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ღირსეულად აღინიშნა „მოსფილმის“ დიდი დამსახურება, მისი წვლილი მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, მაღალი შეფასება მიეცა სტუდიაში შექმნილ ნაწარმოებებს, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს საბჭოური კინემატოგრაფიის, მსოფლიო პროგრესული კინოს განვითარებაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით გულითადად მოგილოცავთ ამხანაგო მოსფილმელებო — სცენარისტებო და მსახიობებო, რეჟისორებო და ოპერატორებო, მხატვრებო და კომპოზიტორებო, კინოწარმოების სპეციალისტებო და საამქროების მუშაკებო, — მთელი მრავალათასიანო კოლექტივო სტუდიის იუბილეს, საამობლო მაღალ ჯილდოს.

თავისი არსებობის ნახევარი საუკუნის მანძილზე კინოსტუდია „მოსფილმმა“ ეკრანებზე გამოუშვა ათასზე მეტი მხატვრული ლენტი. მათგან საუკეთესონი სოციალისტური რეალიზმის ნამდვილი კლასიკა გახდა, ფართო აღიარება პოვა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე შორს მის ფარგლებს გარეთაც. ისეთი თვალსაჩინო ნაწარმოებები, როგორიცაა „ჯავშნოსანი „პოტიომკინი“, „ჩვენ კრონშტადტელები ვართ“, „ლენინი ოქტომბერში“, „ლენინი 1918 წელს“, „ბალადა კარისკაცზე“, „ბედი კაცისა“, „კომუნისტი“, „თავმჯდომარე“, „განთავისუფლება“ და ბევრი სხვა თემატიკით, ეანრითა და შემოქმედებითი მანერით განსხვავებული ფილმი საბჭოთა ხალხს სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ისინი ეფექტურად ეხმარებოდნენ და ეხმარებიან პარტიას ახალი ადამიანის აღზრდაში, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

თქვენი კოლექტივის სახელოვან შრომითს ტრადიციებს საფუძველი ჩაეყარა იმ შორეულ წლებში, როცა მოსფილმელთა პირველი თაობა კინოსტრატეგს იღებდა ჯერ კიდევ ნახევრად ჯუსტარულ ატელიეებში, რომლებიც სტუდიას რევოლუციამდელი თარიმებისაგან დარჩა. ამ ტრადიციებს თქვენ კვლავ ავითარებთ „ბალადა კარისკაცზე“, „ბედი კაცისა“, „ბალადა ალიოშაზე“, „ბედნიერება“, „ბალადა ანტონოვზე“, „ბედი ადამიანისა“, „ბალადა ანტონ ბალაბანოვზე“, „ბალადა ანტონ ბალაბანოვზე“, „ბალადა ანტონ ბალაბანოვზე

ოქტომბრის რევოლუციის ორდენი — „მოსფილმის“ დროშაზე

დასასრული.

ცხნების შესრულებაში, შემოქმედებითად გამოეხმაურონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას. ეკრანი მოწოდებულია პატივისცემა ჩაუნერგონ მაყურებელს მშრომელი ხალხისადმი, აამაღლოს იმათი ავტორიტეტი, ვისაც შეუძლია შთაგონებით იმოქმედოს და საქმეში თავისი გონებისა და გულის მგზნებარება ჩააქსოვოს. კინმატოგრაფს შეუძლია და კიდეც უნდა დაუჭიროს მხარი და განავითაროს საბჭოთა ადამიანების სწრაფვა შესასრულონ თავიანთი შრომითი მოვალეობა, იმუშაონ შემოქმედებითად, საზრიანად, გამომგონებლურად, ინიციატიიანად. უეჭველია, რომ კინოს მუშაკები წარმატებით გაართმევენ თავს ამ ამოცანას!

უკანასკნელი წლები, როგორც ვიცით, საბჭოთა კავშირის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის საგანგო პოლიტიკის დიდი წარმატებებით აღინიშნა. მსოფლიო ვითარება საგრძნობლად უმჯობესდება — ნელდება დაძაბულობა, მტკიცდება ხალხთა მშვიდობა, უშიშროება და მეგობრობა, თანთანდება საერთაშორისო თანამშრომლობა, კიდევ უფრო მკიცდდება სოციალიზმისა და მთელი იმ ძალების პოზიციები, რომელიც ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის იბრძვიან. ამ გზაზე ახალი დიდი ნაბიჯი იყო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ამასწინანდელი ვიზიტი კუბაში, რომელმაც მთელი საბჭოთა ხალხს ერთსულოვანი მოწონება ჰპოვა და ჩვენში და საზღვარგარეთ დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია.

რა თქმა უნდა, გასაგებია, რომ საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე სასიკეთო ცვლილებები, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა შეიდიდებანი თანაარსებობის პრინციპების სულ უფრო ფართო პრაქტიკული გამოყენება — ეს ერთობ რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია. იმპერიალისტური წრეები, ყველა ჯიშის რეაქციონერები, მოიისეები ცდილობენ შეაფერხონ მსოფლიოში პოზიტიურ ცვლილებათა მიმდინარეობა, მკვდრეთით აღადგინონ „ცივი ომის“ ვითარება. სულ უფრო მწვავე და მრავალფეროვანი, სულ უფრო დაძაბული ხდება სოციალიზმისა და კაპიტალიზმის იდეოლოგიური ბრძოლა.

ძნელია გადაჭარბებით შეფასეთ როლი, რომელსაც საბჭოთა კინემატოგრაფი ასრულებს იდეების ბრძოლაში. კინო იყო და იქნება თანამედროვე მსოფლიოში ვიჩაღებული ideologიური ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პლაცდარმი. საბჭოთა კინემატოგრაფისტები მოწოდებული არიან თანამშრომლურად ასრულებდნენ თავიანთ რევოლუციურ ჰუმანისტურ მისიას: შეჭრილიყვნენ მასებში კომუნისტური სმართლის მაღალი, ხატოვანი სიტყვა, ამხელდნენ იმპერიალიზმისა და მისი ლაქიების შემშარიტ სახეს.

ჩვენ კულტურის ყველა დარგში საერთაშორისო კონტაქტების გაფართოების მომხრენი ვართ, მაგრამ კარგად გვესმის, რომ ზოგზოგები საზღვარგარეთ იყადრებენენ იმას, რომ ეს განვითარებადი თანამშრომლობა გამოიყენონ სოციალისტურ წყობილებაზე, საბჭოთა ცხოვრების წესზე იერიშის გასაძლიერებლად. ამიტომ საჭიროა შეეინარჩუნოთ მაღალი სიფხიზლე, გადაჭრით ვამხილოთ თანამედროვე ანტიკომუნიზმის სიყალბე და პირმოთნეობა, ბურჟუაზიული სამყაროს ფარისეველური მორალი, ფართოდ შეეფერებოდეს იდეოლოგიური ბრძოლის მთელ ფრონტზე. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კინემატოგრაფი კვლავაც იქნება ამ მაღალი მოთხოვნების დონეზე!

ძვირფასო ამხანაგებო!

კულტურის „ოსტატთა შემოქმედებითი მუშაობა მუდამ იყო და არის პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საბჭოთა კინემატოგრაფის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ ყოველმხრივ განხილულია კინოს განვითარების მდგომარეობა და პერსპექტივები, გამოაშკარავებულია არსებული ნაკლოვანებანი, ჩამოყალიბებულია კინოხელოვნების განვითარების ზუსტი პროგრამა მომავლისათვის.

სოციალისტური რეალიზმის პრინციპების საფუძველზე, საბჭოთა კინემატოგრაფისტებმა მართლად, ღრმად და მკაფიოდ უნდა ასახონ ჩვენი ცხოვრება მთელი მისი მრავალფეროვნებით, ყველა მისი სირთულეებით, მხატვრის მახვილი თვალით დაინახონ ცხოვრებაში კომუნისტური მომავლის ნიშნები და მგზნებარედ დამკვიდრონ ასეთი ხელოვნების ძლავრი ძალით.

რას ნიშნავს ეს კონკრეტულად, თუ ვილაპარაკებთ მთავარზე?

ეს ნიშნავს გამოვაჩინოთ ჩვენი დღეების სიდიადე და გმირობა, დავამკვიდროთ ჩვენი საზოგადოების იდეური და ზნეობრივი ღირებულებანი, საბჭოთა ცხოვრების წესი, მართლად ვუჩვენოთ საბჭოთა ადამიანის — კომუნისტური სამყაროს მშენებლის მორალური სილამაზე და კეთილშობილება.

ეს ნიშნავს აღვზარდოთ საბჭოთა ადამიანები საზოგადოების წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის, კოლექტივიზმის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის სულისკვეთებით, რევოლუციური ტრადიციებისადმი, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეალებისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

ეს ნიშნავს ხალხი შეიასხათ ეკრანზე ხალხთა მეგობრობის, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის იდეებს, ვაზიაროთ საბჭოთა ადამიანები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, წარსულისა და აწმყოს მსოფლიო კულტურის საუკეთესო ნიმუშებს, გამოვაჩინოთ მისი ჰუმანისტური, პროგრესული საწყისები.

ეს ნიშნავს გაბედულად გამოვაკონინოთ ნაკლოვანებანი და უარყოფითი მოვლენები ჩვენს ცხოვრებაში, გადაჭრით იებრძოლოთ ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის საბჭოთა საზოგადოების წინსვლას, რაც გვაბრკოლებს კომუნიზმის მშენებლობის ძირეული ამოცანებისადან.

ჩვენი დრო არაჩვეულებრივად საინტერესოა ხელოვანისათვის. ეშმარიტად დაუშრეტელია შესაძლებლობანი, რომლებსაც იგი უქმნის მწერალს, რეჟისორს, მსახიობს, ყოველ შემოქმედებითს მუშაკს, რომელიც გულწრფელად ესწრაფვიან დაეხმარონ პარტიასა და საზოგადოებას კომუნისტური აზრისა და საქმის, მაღალი ზნეობრივი სილამაზისა და კეთილშობილების, ადამიანის, ინტერნაციონალისტის ჩამოყალიბებაში, რომელიც თავს გრძნობს თავისი ქვეყნის, მისი აწმყოსა და მომავლის ბატონ-პატრონად.

შემოქმედებითს ნოვატორობას, ნიჭისა და უნარის თავისთავადობას გამოვლინებას ფართო ასპარეზს აძლევს სოციალისტური რეალიზმის მეთოდი. იგი იუცლებლად ვარაუდობს ახალი გამომსახველი საშუალებების მუდმივ ძიებას, რომლებიც შეესაბამებიან დროის სულისკვეთებას, ჩვენს რევოლუციურ ეპოქას. ამის სამართლიანობას ადასტურებენ კინოხელოვნების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, მათ შორის თქვენს კინოსტუდიაში შექმნილი ნაწარმოებებიც.

მაგრამ გამოხატვის ახალ საშუალებათა ძიება სრულიადაც არ უნდა გადაიქცეს თვითმიზნად, რაღაც ცურვად „უსაზღვ და უიალქნოდ“ ხელოვნების ოკეანის უნაპირო სივრცეებში. სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებას აქვს თავისი ნაპირები — მკაფიო კლასობრივი პრინციპები, რომლებსაც განსაზღვრავს მისი მაღალი მსნეა: იგი მოწოდებულია დაეხმაროს პარტიას მის დიდ ბრძოლაში მსოფლიოს კომუნისტური გარდაქმნისათვის.

ჩვენ გადავრთოთ ვილაშქრეთ იმის წინააღმდეგ, რაც ზიანს აყენებს მშრომელ ადამიანს, პიროვნების დამცირების წინააღმდეგ, სიბინძურითა და სისაძაგლით ტკბობის წინააღმდეგ, ცხოვრებისეული და ისტორიული სიმართლის დამაბინძურების წინააღმდეგ. ასევე გადავრთეთ ვილაშქრეთ პოლიტიკურობის წინააღმდეგ, ჩვენთვის უცხო განწყობილებისა და გემოვნების წინააღმდეგ, ჩვენ აშკარად ვაკრიტიკებდით და კვლავაც გავაკრიტიკებთ ხელოსნობის, სიყალბის შტამპით აღნიშნულ ფილმებს, რომლებსაც სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით ჩვენს ეკრანზე. როგორც ჩანს, მომთხოვნელობის მეტი სიზომით. უნდა მივუდგეთ კინოწარმოების ყველა უბანს. კონტროლი გავუწიოთ ყველა მის სტადიას, უფრო მკაცრად მოვკითხოთ ობამ, ვინც ცხოვრების საგზურს აძლევს ახალ ფილმებს.

უმაღლესი კრიტერიუმი, რომლითაც პარტია ხელმძღვანელობს ხელოვნების ნაწარმოების, კერძოდ, ამა თუ იმ ფილმის შეფასებაში, არის კომუნისტური საზოგადოების, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეალები, საბჭოთა ადამიანებისა და მთელი მშრომელი ადამიანობის კეთილდღეობა. ამ პრინციპული პოზიციებიდან ვეუბნებით საბჭოთა ხელოვანთ: შემართებით იშრომეთ, ხალხის საკეთილდღეოდ! ჩვენ გვახარებს ხელოვნების თვითეული ნაწარმოები, რომელშიც მხატვარმა მართლად ასახა ჩვენი სახელოვანი ისტორია, ჩვენი ბობოქარი, მშვენიერი დრო.

„მოლიონობით მაყურებელი, — აღნიშნავდა ლ. ი. ბრეჟნევი, — თქვენგან მოელის ყველა ქანრისა და სახეობის ახალ ნაწარმოებებს, მნიშვნელოვანი შინაარსით და სინტერესოს მხატვრული წარმოსახვით, ნაწარმოებებს, რომლებიც გვიღვიძებენ აზრს, გვეხმარებიან ეფრო ღრმად შეეიგნოთ ამ ეპოქის აზრი, რომელშიც ვცხოვრობთ, მართლად გვიჩვენებენ ჩვენს თანამედროვეთა ცოცხალ სახეებს. განუმტკიცებენ ადამიანს ქეთილშობილურ ზნეობრივ საწყისებს, რომლებიც ეუცილებელია კომუნიზმის მშენებლებისათვის“.

ძვირფასო მეგობრებო!

როგორც ცალკეული ადამიანის, ისე მთელი კოლექტივის ცხოვრებაში, დღე, როცა მას გადაეცემა მაღალი სახელმწიფო ჯილდო, მეხსიერებაში რჩება როგორც ბრწყინვალე საზეიმო მოვლენა. მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ სტუდია „მოსფილმის“ დიდი ფერფლა გახდება ახალი ღირსშესანიშნავი ნიმანსვეტი თქვენი სახელოვანი კოლექტივის, მთელი საბჭოთა კინემატოგრაფიის შემოქმედებითის გზაზე!

საბჭოთა სახელმწიფოს ორი უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი და ოქტომბრის რევოლუციის ორდენი — ეს არის არა მარტო საბჭოთა კულტურის წინაშე „მოსფილმის“ დიდი დამსახურების შეფასება, არამედ მოწოდებაც ახალი შემოქმედებითი მეცადინეობისათვის, უფრო მაღალი მიჯნების მიღწევისათვის, საყოველთაო-სახალხო აღიარების ღირსი ფილმების შექმნისათვის. ნება მიბოძეთ გისურვოთ, ძვირფასო ამხანაგო მოსფილმელებო, ახალი დიდი წარმატებანი თქვენს მუშაობაში, რომელიც ესოდენ სპირდება ჩვენს პარტიასა და ჩვენს ხალხს.

ამხ. ნ. ვ. პოდგორნის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს. მისი სიტყვის დროს არა ერთხელ გაისმა ტაში.

ნ. ვ. პოდგორნომ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება და შეკრებილთა ტაშის გრიალში ოქტომბრის რევოლუციის ორდენი მიაბნია კინოსტუდია „მოსფილმის“ დროშას.

• • •

„მოსფილმის“ მუშაკთა სახელით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობას კოლექტივის შრომის მაღალი შეფასებისათვის დიდი და გულითადი მადლობა გადაუხადა სტუდიის ენერგიალურმა დირექტორმა ნ. ტ. სუხოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმება, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სტუდია „მოსფილმის“ დაჯილდოების შესახებ ალაფრთოვანებს მოსფილმელებს ახალი შემოქმედებითი ძიებებისათვის.

სასიხარულოა იმის შეგნება, რომ ჩვენს შრომას — კინემატოგრაფისტთა დიდი რაზმის შრომას — ესოდენ მაღალი შეფასება მისცეს პარტიამ და ხალხმა, თქვა ლენინური პრემიის ლაურეატმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, კინორეჟისორმა ს. თ. ბონდარჩუკმა. ასეთი შეფასება და ასეთი ყურადღება ზმოაგვიგონებს ეკრანის მაღალმხატვრული და მაღალიდეური ნაწარმოებების შექმნას.

რუსეთის სფსრ სახალხო არტისტმა, კინოსახალიობმა ნ. ვ. ბორდიუკოვამ ილაპარაკა იმ დიდ აღფრთოვანებასა და სიხარულზე, რითაც მოსფილმელები შეხვდნენ მაღალ ჯილდოს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სტუდიის „ოლექტივის შემოქმედებითი შრომის ეს ფერფლ მაღალი შეფასება ალაფრთოვანებს მას ახალი მოღწევებისათვის,

შეკრებილებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს „პრეზიდიუმისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

შემდეგ გაიმართა დიდი სადღესასწაულო კონცერტი. უჩვენეს კადრები „მოსფილმის“ საუკეთესო კინოსურათებიდან, მაყურებელთა წინაშე გამოვიდნენ საბჭოთა კინოხელოვნების ცნობილი ოსტატები.

ი. ვექსლერი,
ვ. კულიკოვი,
საკადესის კორ.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი

12 თებერვალს მოსკოვში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პლენუმმა. პლენუმზე მოხსენება გააკეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „პრავდის“ მთავარმა რედაქტორმა მ. ვ. ზიმიანინმა.

მოხსენებასა და ორატორთა გამოსვლებში განსაზღვრა კონკრეტული ამოცანები, რომლებიც პრესის მუშაკებმა უნდა ჯადაწყვეტონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის დადგენილების, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში მოცემული დებულებებისა და დასკვნების, პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის, აგრთვე 1974 წლის სოციალისტური შეჯიბრების ჯაჩაღების შესახებ დადგენილებათა შესაბამისად.

კამათში გამოვიდნენ სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივნები: გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ მთავარი რედაქტორი პ. ფ. ალექსეევი, მოსკოვის ჟურნალისტთა საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე ი. ი. ბალანენკო, უკრაინის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ვ. ი. სერობაბა, სომხეთის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, არმენპრესის დირექტორი ა. ვ. ხაჩიკიანი და ესტონეთის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ა. ტ. საარემაგი, აგრეთვე ბელორუსიის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ა. ა. ტოლსტიკი, ლენინგრადის ჟურნალისტთა ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „ლენინგრადსკაია პრავდის“ რედაქტორი ა. კ. ვარსობინი, სვერდლოვსკის ჟურნალისტთა ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე ი. ხ. ბროდსკი, რუსეთის ფედერაციის „სოვეტ უნბეკისტონის“ რედაქტორი მ. კარიეევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის პროპაგანდის მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი ვ. ვ. ეგოროვი, მოსკოვის ქარხანა „დინამოს“ დირექტორი კ. დ. პეტუხოვი და სმოლენსკის ოლქის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ს. ი. ბიზუნოვი.

პლენუმის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროსა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საქმიანობა საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

პლენუმზე მიღებულ გადაწყვეტილებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო აამაღლონ ოპერატიულობა, უკეთ გამოიყენონ მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებანი, სოციალისტური შეჯიბრების გაშუქებაში შეძენილი გამოცდილება. დარაზმონ მშრომელები ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის.

პლენუმის მონაწილეებმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვეს, რომ მთელ თავიანთ ძალღონეს, ენერგიას, ცოდნას და შემოქმედებითს ძალებს მოახმარენ იმ საქმეს, რომ ღირსეული წვლილი შეიტანონ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების განხორციელებაში.

იმავე დღეს პლენუმის სხდომის დამთავრების შემდეგ გაიმართა ჟურნალისტთა რესპუბლიკური, საქალაქო და საოლქო კავშირების, ჟურნალისტთა ორგანიზაციების გამგეობათა მდივნების თათბირი, რომელზეც გაგრძელდა გამოცდილების ურთიერთ გაზიარება. (საკადესის კორ.).

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

აპრძალული ტვირთით

რედაქციას უკასუხებენ კარტიის გორის, ცხაკაიას, გულრიფშის რაიკომები

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ სარეიდო მასალებში მხილებული იყვნენ სპეციალისტები, რომლებიც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ხილით ვაჭრობდნენ. ამის გამო რედაქციამ მიიღო პარტიის გორის, ცხაკაიას, გულრიფშის რაიკომების პასუხები. პარტიის გორის რაიკომი გვწერს:

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში „აპრძალული ტვირთით“, მხილებული იყო გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევში მცხოვრებ ელეგური სანდრო-ძე გალაშვილის ანტისაზოგადოებრივი მოქმედება. იგი ქ. სოჭის საკოლმეურნეო ბაზარზე ხილით ვაჭრობდა და რეიდის მონაწილეებმა ამხილეს. ის ჯერ კიდევ 1972 წლის თებერვალში იქნა დაკავებული ქ. კრივი როგის ბაზარში, სადაც მანდარინს ყიდდა. ამ დანაშაულისათვის და იმის გამო, რომ ის არსად არ მუშაობს, თავს არიდებს სასარგებლო შრომას და არ ცხოვრობს ადგილზე, გორის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილება ასოციალურად ღონისძიებებს მის მოსაძებნად.

მეორე პასუხში პარტიის ცხაკაიას რაიკომი გვატყობინებს:

გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში „აპრძალული ტვირთით“ — მანდარინით სპეკულაციაში მხილებულნი იყვნენ ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანისა და ნოსირის მცხოვრებლები ნოდარ ალექსანდრეს-ძე მირგატია და ანზორ მირიანის-ძე ბესელია. მირგატია სასოფლო საბჭოს აღმასკომისა და კოლმეურნეობის გამგეობის თანხმობის გარეშე უნებართვოდ წასულია ქ. ვოლგოგრადში, მასზე გაცემული არ არის არავითარი ოფიციალური ცნობა სხვგან საცხოვრებლად გადასვლაზე, ირიცხება ზანის სასოფლო საბჭოს აღმასკომის საკომლო ზიანში. ამჟამად იგი იმყოფება პატიმრობაში და მისი საქმე ძიებაშია. ა. ბესელიას შესახებ, რომელიც სოფელ ნოსირის მცხოვრებია, მსგავსი გამოწერილი. ლექციებზე, საუბრებზე, პოლიტიკურ მოსხენებებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. სამწუხაროდ, მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ბაბრიელ ზარიძე ვერ ვნახეთ კახრისწყლის დასახლებაში, მაგრამ არა მგონია მან თავი იმართლოს ყოველივე ამაში.

— ამას წინათ ექიმმა ჩამოიარა, გვარი არ ვიცი, — გვითხრა ა. სულხანურმა, — მანქანადან ძირს არც კი ჩამოსულა, ისე გვკითხა, ხომ არაფერი გიჭირთო. სტრეტფიი დ ი ვთხოვეთ, არ აღმოაჩნდა, მაგრამ როდი შეწუხდა, გვარის უთქმელად წავიდა, წუხილით კი, ბევრი რამ გავწუხებს.

ზემო და ქვემო ალვანის მეცხვარეობის თითქმის ყველა ბრიგადა შემოვიარე. ნამდვილად გასახარია, რაც უკანასკნელ წლებში აქ მოსხდარა. გულს ახარებს პირუტყვის ახალი ნაირსახეობა მიწის, რკინბეტონის, სადურგლო და სამონტაჟო სამუშაოები. ამ სიახლემ იმედი გაგვიმართლა.

ვესაუბრეთ ერთ-ერთი ასეთი კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელს ამბროსი ციცქიშვილს. იგი 35 წლისაა. აქაურმა, თურმე კარგად იცნობს შემოგარენს. მასთან მუშაობა ალბათ სასიამოვნოა — განათლებული, მომთხოვნი, სამართლიანი ხელმძღვანელი ჩანს. ა. ციცქიშვილის ბრიგადა გადასასვლელზე 1968 წლიდან მუშაობს. მას შემდეგ, რაც მეორე ლიანდაგების მშენებლობა დაიწყო. სამუშაოებს აწარმოებდა მოლით-მარელისის და წიფა-მოლითის ყველაზე ძნელ გადასარბენებზე და დვალიებებს ყოველთვის დიდი გადაჭარბებით, მაღალხარისხოვნად ასრულებდა.

თავი ისასელა აგრეთვე დიმიტრი კიკნაძის ბრიგადამ, რომელიც ახალ რელსებს აგებდა: მამაცობის მაგალითი აჩვენეს სატვირთო მანქანის მემანქანემ ილია გოგოლაძემ, კომპლექსური ბრიგადების წევრებმა გიორგი ნადირაძემ, გიორგი მღუაშვილმა, გურამ ჭყოიძემ, ოთარ მიქელაშვილმა, ოსტატმა ბამია მჭედლიძემ.

საერთოდ, სურამის გადასასვლელის მეორე ლიანდაგის მშენებლობაზე თავი მოიყარეს მამაცმა ადამიანებმა, რომლებსაც სიძნელეებთან შესვედრა, არ ამინებთ, მეგობრულად ებრძვიან ტატეხას, ვერ ითმენენ ნაკლოვანებებს.

ერთხელ წიფა-მოლითის უბანზე მომუშავე ბრიგადებს, რომლებსაც ოსტატი შალვა კურანტაძე ხელმძღვანელობდა, დავალება მიეცათ მეტრნაგვრით გადაეწიათ მოქმედი რკინიგზის ხაზი და გაეთავისუფლებინათ ადგილი მეორე ლიანდაგის დასაგებად. დავალება მეტად რთული და პასუხსაგები იყო, ამასთან ძალიან სასწრაფო, რადგან მალე მატარებლები გამოჩნდებოდნენ.

სამწუხაროდ, ოსტატმა და ბრიგადირებმა თავი ვერ მოაბეს საქმეს და ვერ გამოიყენეს იმ მცირე დროის შუალედი, რომელიც მატარებლების მოსვლამდე მათს განკარგულებაში იყო. საქმე შეფერხდა. უნდა გენახათ, რა პრინციპული საუბარი გაიმართა ამის გამო საწარმოო თათბირზე, რომელიც მშენებლობის უფროსთან ეწყობა. მშენებლებმა ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, ოსტატი გაკიცხეს.

— ამ საუბარმა იმოქმედა, — გვითხრა პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ვალერიან კაპანაძემ, — ასეთი რამ მ. კურტანაძეს და მის ბრიგადებს აღარასოდეს დამართნიათ. დამკვიდრეული შრომა გრძელდება.

სურამის გადასასვლელის უბანზე მშენებლები კიდევ ორსამ თვეს დარჩებიან. ისინი ახლა ზოგიერთი ხარვეზის ლიკვიდაციას ახდენენ და გადასასვლელი ობიექტების ნაგებობათა მშენებლობას ამთავრებენ. მერე კი მთებიდან ბარში ჩამოვლენ და მეორე ლიანდაგის დასაგებ სამუშაოებს ქარელ-სურის უბანზე განაგრძობენ.

მშენებლები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ დროულად დაამთავრონ რკინიგზის მეორე ლიანდაგის დაგება ხაშურ-ზესტაფონის გადასარბენზე.

ვლ. მაისურაძე,
სურათზე: *მარელისი-მოლითის გადასარბენი.*
ი. ილიასოვის ფოტო.

ინთება მწვანე შუქნიშანი

სურამის გადასასვლელზე მთავრდება რკინიგზის მეორე ლიანდაგის დაგება

სურამის გადასასვლელი. ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 349 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უფროსს ისმაილ ცეცაძეს, რომელიც გადასასვლელის უბანზე რკინიგზის მეორე ლიანდაგის მშენებლობას ხელმძღვანელობს, მოლითის საგურში შევხვდით. იგი ის-ის იყო დაბრუნდა სამშენებლო ობიექტიდან.

— მეორე ხაზის მშენებლობაზე ბევრი სიძნელე გადალახეთ. მაგრამ ყველა მშენებელმა კარგად იცოდა, რომ ეს გზა პირველივით არის საჭირო ჩვენი რკინიგზისათვის, ამიტომ ამ სიძნელეებს მამაცურად ვუტევდით. ყველაფერმა უკვე ჩაიარა, ახალი ხაზის უბანზე მალე დაიწყება მატარებლების ინტენსიური მოძრაობა, — გვითხრა მან.

შემდეგ მშენებლობის უფროსმა მშენებლოთა ზოგიერთი მიღწევა გააგებინა, წიფა-მოლითისა და მოლით-მარელისის გადასარბენზე მეორე ხაზები რომ დაგოთ, მშენებლებმა ალეთქების ბეტონ მასალეთის 300 ათასი კუბური მეტრი ქლოის სამუშაობი. ჩაეწყვეს 200 ათასი კუბური მეტრი ბეტონი და რკინაბეტონი, ააგეს ორი ხიდი, და მრავალი სხვა ხელოვნური ნაგებობა.

— ყველაფერი ეს გაკეთდა გადასასვლელის მეორე მონაკვეთზე, — ბანაგრძო ისმაილ ცეცაძემ. — სამუშაოთა ფრონტი ბევრი მეტრი იყო, ამასთან ამუშაობდით ისე, რომ არ შეწყვეტილა მატარებლების ინტენსიური მოძრაობა.

ჩვენი საუბარი შემდგომ ხაშურში. სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის კანტორაში განვაგრძეთ, როგორ მშენებლობის მთავარ ინჟინერს ალეტან ჭყოიძეს ესაუბრეთ. მან გვიამბო. თუ როგორ გრძელდება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები გადასასვლელზე, რაგორია საშენი მასალებით მომარაგება.

აქაური რელიეფი მეტად რთულია. ამიტომ სამშენებლო ობიექტების ახოოს არ მოხერხდა ჩასაყენებელი ხაზების დაგება. ამან მშენებლები დიდ გასაჭირში ჩააგდო. ვაგონებით მოტანილი უამრავ მასალოას მატარებლების მოძრაობის შუალედებში პირობაპირ მოქმედ ხაზზე ცოიდნენ და მუშაობას სწრაფად განაგრძობდნენ, რომ გზა მალე გავიშინდათ, მოძრაობა არ შეიფერხებინათ. სამშენებლო მოედნებზე არ მოხერხდა მუშახელის, ტექნიკის დიდი რაოდენობით გამოყენება, მთები და ხევები ხელს უშლიდათ.

— ამიტომ კომპლექსური ბრიგადები შევადგინეთ, — განაგრძო აილატ ჭყოიძემ, — მხოლოდ მათ შეეძლოთ ყველა საჭირო სამუშაოს ერთდროულად შესრულება ასეთ შეზღუდულ პირობებში. ბრიგადებში გავაერთიანეთ ისეთი ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევდათ ეწარმოებინათ მიწის, რკინაბეტონის, სადურგლო და სამონტაჟო სამუშაოები. ამ სიახლემ იმედი გაგვიმართლა.

ვესაუბრეთ ერთ-ერთი ასეთი კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელს ამბროსი ციცქიშვილს. იგი 35 წლისაა. აქაურია. თურმე კარგად იცნობს შემოგარენს. მასთან მუშაობა ალბათ სასიამოვნოა — განათლებული, მომთხოვნი, სამართლიანი ხელმძღვანელი ჩანს. ა. ციცქიშვილის ბრიგადა გადასასვლელზე 1968 წლიდან მუშაობს. მას შემდეგ, რაც მეორე ლიანდაგების მშენებლობა დაიწყო. სამუშაოებს აწარმოებდა მოლით-მარელისის და წიფა-მოლითის ყველაზე ძნელ გადასარბენებზე და დვალიებებს ყოველთვის დიდი გადაჭარბებით, მაღალხარისხოვნად ასრულებდა.

თავი ისასელა აგრეთვე დიმიტრი კიკნაძის ბრიგადამ, რომელიც ახალ რელსებს აგებდა: მამაცობის მაგალითი აჩვენეს სატვირთო მანქანის მემანქანემ ილია გოგოლაძემ, კომპლექსური ბრიგადების წევრებმა გიორგი ნადირაძემ, გიორგი მღუაშვილმა, გურამ ჭყოიძემ, ოთარ მიქელაშვილმა, ოსტატმა ბამია მჭედლიძემ.

საერთოდ, სურამის გადასასვლელის მეორე ლიანდაგის მშენებლობაზე თავი მოიყარეს მამაცმა ადამიანებმა, რომლებსაც სიძნელეებთან შესვედრა, არ ამინებთ, მეგობრულად ებრძვიან სტიქიას, ვერ ითმენენ ნაკლოვანებებს.

ერთხელ წიფა-მოლითის უბანზე მომუშავე ბრიგადებს, რომლებსაც ოსტატი შალვა კურანტაძე ხელმძღვანელობდა, დავალება მიეცათ მეტრნაგვრით გადაეწიათ მოქმედი რკინიგზის ხაზი და გაეთავისუფლებინათ ადგილი მეორე ლიანდაგის დასაგებად. დავალება მეტად რთული და პასუხსაგები იყო, ამასთან ძალიან სასწრაფო, რადგან მალე მატარებლები გამოჩნდებოდნენ.

სამწუხაროდ, ოსტატმა და ბრიგადირებმა თავი ვერ მოაბეს საქმეს და ვერ გამოიყენეს იმ მცირე დროის შუალედი, რომელიც მატარებლების მოსვლამდე მათს განკარგულებაში იყო. საქმე შეფერხდა. უნდა გენახათ, რა პრინციპული საუბარი გაიმართა ამის გამო საწარმოო თათბირზე, რომელიც მშენებლობის უფროსთან ეწყობა. მშენებლებმა ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, ოსტატი გაკიცხეს.

— ამ საუბარმა იმოქმედა, — გვითხრა პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ვალერიან კაპანაძემ, — ასეთი რამ მ. კურტანაძეს და მის ბრიგადებს აღარასოდეს დამართნიათ. დამკვიდრეული შრომა გრძელდება.

სურამის გადასასვლელის უბანზე მშენებლები კიდევ ორსამ თვეს დარჩებიან. ისინი ახლა ზოგიერთი ხარვეზის ლიკვიდაციას ახდენენ და გადასასვლელი ობიექტების ნაგებობათა მშენებლობას ამთავრებენ. მერე კი მთებიდან ბარში ჩამოვლენ და მეორე ლიანდაგის დასაგებ სამუშაოებს ქარელ-სურის უბანზე განაგრძობენ.

სურათზე: *მარელისი-მოლითის გადასასვლელი.*
ი. ილიასოვის ფოტო.

დოლია ივრისპირთსა და შირაქში

□ 100 ცხვარზე — 100 ბატკანი! □ ფარმატების ბევრდით შეუფუძნარებელი ნაკლია! □ პირუტყვის საკვები აკლიათ □ მეცხვარეები ცუდ ბინებში ცხოვრობენ □ ექიმი მეცხვარეს მანქანიდან „სინჯავს“.

ზირაქის, ელდარის, იორ-ტარიბანისა და სამუხის ველებზე ათეული ათასობით ცხვარ-ძროხა იზამთრებს. აქ არის წითელწყაროს, სიღნაღის, თელავის, ახ

დიდი ნვლილი მეკვიდრეობის საქმეში

Сталин

„ბრანდმა“ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგების შესახებ

ბონნი, 12 თებერვალი. (საკ-დესი). გაზეთმა „ბრანდმა“ გამოაქვეყნა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, ხალხთა მშვიდობისა და სუვერენიტეტის მოძრაობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის, ცნობილი კუბელი საზოგადო მოღვაწის ხუან მარინელიოს სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის როლს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში.

საგულისხმოა, განაგრძობს სტატიის ავტორი, რომ ბონნში ხოსე მარტის სახელობის რევოლუციის მოედანზე წარმოთქმულ სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მოიყვანა ჩვენი ეროვნული გმირის ხოსე მარტის გამონათქვამები. ხოსე მარტი ამბობდა: „აკაცმბრიობის მომავალი მშვიდობაა. იყო დრო, როცა ომი კონფლიქტების გადწყვეტის უპირველეს საშუალებად მიიჩნდათ. დღეს იგი უკვე უკანასკნელი საშუალებაა. ხვალ ომი დანაშაული გახდება“. ლ. ი. ბრეჟნევმა სამართლიანად აღნიშნა, რომ ის „ხვალ“, რომელზეც მარტი ლაპარაკობდა, ეს ჩვენი დღევანდელი დღეა.

როცა ჩვენი რევოლუციის ხელმძღვანელი ფიდელ კასტრო მიესალმა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს კუბაში, განაგრძობს ხუან მარინელიო, მან აღნიშნა ის დიდი ნვლილი, რომელიც სსრ კავშირის ხალხსა და მთავრობას შეაქვთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტის საქმეში. ფიდელ კასტროს სიტყვებმა ზუსტად გამოხატეს ყველა იმათი გრძნობები და ნება, ვინც ხოსე მარტის სახელობის რევოლუციის მოედანზე და მის ფარგლებს გარეთ უსმენდა ფიდელ კასტროს.

ლენინის სამშობლოსა და მარტის სამშობლოს ხალხები ეხწრაფვიან ჩვენი დროის უველაზე უმაღლეს მიზანს — დაამყარონ მტკიცე მშვიდობა, აღშენონ ახალი საზოგადოება და აღზარდონ ახალი ადამიანი. ბაზს უსვამს დასასრულ ხუან მარინელიო.

ვაშინგტონის შეხვედრაზე

ვაშინგტონი, 12 თებერვალი. (საკდესი). ნავთობის ძირითადი მომხმარებელი კაპიტალისტური ქვეყნების თათბირმა, რომელიც აქ მიმდინარეობს, გამოავლინა ენერგეტიკული კრიზისის პრობლემათა გადაჭრისადმი სხვადასხვა მიდგომა შეერთებული შტატებისა და ამ შეხვედრის მთელ რიგ მონაწილეთა, კერძოდ, საფრანგეთისა და იაპონიის მხრივ.

პრეზიდენტი რ. ნიქსონი, რომელიც გამოვიდა თეთრ სახლში თათბირის მონაწილეთა პატივსაცემად გამართულ დარბაზობაზე, დაბეჯითებით მოუწოდებდა მათ „თანამშრომლობისათვის“ ენერგეტიკის დარგში ახლანდელი დაბრკოლებებიდან გამოსავლის ძიების მიზნით. რ. ნიქსონი აღნიშნავდა თვითეული ქვეყნის უფლებას — „უზრუნველყოს საკუთარი ინტერესები“. მაგრამ მან გაიღაშქრა ვაშინგტონის თათბირის მონაწილე მთელი რიგი ქვეყნების კურსის წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ დაიცვან თავიანთი ინტერესები ნავთობის მწარმოებელ ქვეყნებთან ორმხრივი გარიგების გზით.

სწორედ ასეთ პოლიტიკას, როგორც ცნობილია, ადგას ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი პარტნიორი, და მათ შორის საფრანგეთი და იაპონია, მიუხედავად ვაშინგტონის ზეგავლენისა.

ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ენერგეტიკული პრობლემების გადაჭრაში დააკონკრეტა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰ. კისინჯერმა, რომელმაც გუშინ თათბირის გახსნისას წამოაყენა შეიდპუნქტიანი პროგრამა. ეს გეგმა ითვალისწინებს ენერგიის ეკონომიის ღონისძიებათა კოორდინირებას, ალტერნატიული ენერგეტიკული წყაროების დამუშავებას, თანამშრომლობას მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოების დარგში. ამერიკის შეერთებული შტატები აყენებს აგრეთვე განსაკუთრებულ ვითარებაში ენერგეტიკული მარაგის „გაყოფის“ იდეას.

ამ პროგრამამ სხვადასხვაგვარი რეაგირება გამოიწვია თათბირის მონაწილეების მხრივ. მთავარ წინააღმდეგობას ამერიკის გეგმას უწევენ იმასთან დაკავშირებით, რომ მისი განხორციელება გათვალისწინებულია სამრეწველო ქვეყნების ვიწრო წრის შეკავშირების საფუძველზე ნავთობის მწარმოებელ ქვეყნებზე ზეგავლენის მოსახდენად.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ჟობერმა აღნიშნა, რომ ასეთი კურსი მოასწავებს ქვეყნების ჯგუფის ცდებს — დაამყარონ „ახალი ეკონომიური წესრიგი“ მსოფლიოში. ამას „გარდუვალად მოჰყვება კონფრონტაცია ნავთობის მომპოვებელ ქვეყნებთან და ყველა განვითარებად სახელმწიფოსთან“, ხაზი გაუსვა მინისტრმა. მ. ჟობერმა მხარი დაუჭირა ყოველმხრივ თანამშრომლობას დასავლეთ ევროპასა და ნავთობის მწარმოებელ ქვეყნებს, განსაკუთრებით არაბულ ქვეყნებს შორის. ასეთი თანამშრომლობა, განაცხადა მან, შეესაბამება ყველა მხარის ინტერესებს, და მისი განვითარება საჭიროა როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ საფუძველზე.

ჩილელ პატრიოტთა გრძოლა

პარიზი, 13 თებერვალი. (საკდესი). „ყოველი დემოკრატი თავისი იდეოლოგიური, რელიგიური თუ ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, დღეს ილაშქრებს დიქტატურის წინააღმდეგ. ყველამ თავისი ადგილი უნდა დაიკავოს ბრძოლაში, რომელიც იმისათვის წარმოებს, რომ ალაგმონ, იზოლაციაში მოაქციონ და დაამარცხონ ფაშიზმი“, — ნათქვამია ჩილეს კომუნისტური, სოციალისტური და სხვა მემარცხენე პარტიებისა და პატრიოტული ორგანიზაციების აქ გამოქვეყნებულ ერთობლივ განცხადებაში.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ მასების ბრძოლა პოლიტიკური და სოციალური უფლებების მოპოვებისათვის უკვე დაიწყო. ამ ბრძოლის გაღრმავება და გაფართოება დღის წესრიგში დგას.

პარტიები და ორგანიზაციები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ განცხადებას, საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდებენ განაგრძოს ხუან მარინელიო, მან აღნიშნა ის დიდი ნვლილი, რომელიც ხსრ კავშირის ხალხსა და მთავრობას შეაქვთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტის საქმეში. ფიდელ კასტროს სიტყვებმა ზუსტად გამოხატეს ყველა იმათი გრძნობები და ნება, ვინც ხოსე მარტის სახელობის რევოლუციის მოედანზე და მის ფარგლებს გარეთ უსმენდა ფიდელ კასტროს.

პერუ. საყოველთაო აღფრთოვანებით შეხვდნენ მთელ ქვეყანაში მთავრობის ახალ მნიშვნელოვან ნაბიჯს — ამერიკის სამთამადნო კომპანია „ხერო დე პასკო კოპერ კორპორეიშნის“ პერუს ფილიალის ნაციონალიზაციას. უდიდესმა პროგრესულმა ორგანიზაციებმა გააკეთეს განცხადება, სადაც იწონებენ მთავრობის ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას.

სურათზე: მშრომელთა მრავალათასიანი დემონსტრაცია საკდესის ფოტო.

გაფიცვების ტალღა აზვირთდა

მშრომელები იბრძვიან ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის

ლონდონი. მეორე დღეა გრძელდება ინგლისელ მაღაროელთა საერთო-ეროვნული გაფიცვა, რომლებიც ხელისუფალთაგან მოითხოვენ ხელფასის მომატებას. ეს მტკიცე ნაბიჯი მეშახტეებმა გადადგეს იმის შედეგად, რომ კონსერვატორთა მთავრობა ჯიუტად უარს ამბობს დაკმაყოფილოს მათი სამართლიანი მოთხოვნები. მექვანახშირეთა ბრძოლას ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის მხარს უჭერს ქვეყნის მთელი პროფკავშირული მოძრაობა. ტრანსპორტის მუშაკებმა განაცხადეს, რომ ისინი არ გადატვირთავენ ქვანახშირს არსებული მარაგიდან.

ბონი. დასავლეთგერმანელი მეშახტეები გადაჭრით უჭერენ მხარს დიდი ბრიტანეთის მაღაროელთა საყოველთაო გაფიცვას. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მაღაროელთა და ენერგეტიკოსთა პროფკავშირის თავმჯდომარემ ა. შიდტმა ჟურნალისტებთან საუბარში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი პროფკავშირის წევრები „სოლიდარული არიან ინგლისელ კოლეგებთან“, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეშახტეები არ დაუშვებენ, თქვა მან, რომ გაფიცვის პერიოდში გაგზავნონ ქვანახშირი დასავლეთ გერმანიიდან ინგლისში.

სტოკჰოლმი. ჩრდილოეთ შვეციის მაღაროელები სოლიდარობას უცხადებენ გაფიცულ ინგლისელ მეშახტეებს, რომლებიც იბრძვიან ხელფასის მომატებისათვის ცხოვრების ღირებულების მკვეთრი ზრდის პირობებში. მათ განზრახული აქვთ მატერიალური დახმარება გაუწიონ ინგლისელ მაღაროელებს.

დასავლეთი ბერლინი. ორი დღის გაფიცვა დაიწყო დასავლეთ ბერლინის საქალაქო ტრანსპორტისა და კომუნალური დაწესებულებების 20 ათასმა მუშამ და მოსამსახურემ. გაფიცულნი მოითხოვენ ხელფასის მომატებასა და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

ოპერაცია „ხურდა“

ჩვეულებრივად დილის ათ საათზე კანდის ქალაქ პუენ-სენ-შარლის ერთ-ერთი ბანკის მეკარემ გააღო შესახვლელი კარი, და რიგში მდგარი ადამიანები წესრიგის მკაცრად დაცვით ერთიმეორის მიყოლებით შევიდნენ დარბაზში.

რიგის თავში მდგომმა ქალმა ენი კენტუელმა განაცხადა: „ჩვენ მოვედით ბინის ქირის გადასახდელად“, და მაგიდაზე გადმოცალა ხურდა ფულით გატენილი პარკი. რიგში აქა-იქ სიცილი გაისმა.

„მაპატიეთ, — შეშინებულმა იკითხა მოლარემ, — დანარჩენ გადამხდელებსაც მხოლოდ წვრილი ფული აქვთ?, „ყველას“, — უპასუხა ენი კენტუელმა. მოლარემ შეწუხებული სახით დაიწყო ფულის თვლა.

ამ ეპიზოდს წინ უძღოდა ასეთი ამბები: პუენ-სენ-შარლის ბანკს ქალაქში ეკუთვნის ძველი საცხოვრებელი სახლები, სადაც ძირითადად ღარიბები ცხოვრობენ. მათ მიმართეს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს და ხთხოვეს წესრიგში მოეყვანათ საცხოვრებელი შენობების გათბობა და კანალიზაციის სისტემა. ბანკის დირექციამ უარი თქვა მობინადრეების მოთხოვნათა შესრულებაზე.

აღშფოთებულმა მობინადრეებმა კრება მოიწვიეს და ენი კენტუელმა წამოაყენა ასეთი წინადადება: მოდით, ბინის ქირა რაც შეიძლება წვრილ ხურდა ფულით გადავიხადოთ.

სალაროს ბანკის დირექციამ ჯამი გამოიყვანა. ენი კენტუელის მიერ ორგანიზებული მობინადრეების ჩანაფიქრს სამი დღით მწყობრიდან გამოჰყავდა საბანკო ოპერაციები. ეს იმას ნიშნავდა, რომ იკარგებოდა ყოველთვიური შემოსავლის ათი პროცენტი. უბრალო არითმეტიკულმა გამოანგარიშებამ ბანკის დირექცია დაარწმუნა, რომ მოძველებული შენობების რემონტი უფრო იაფი დაუჯდებოდათ, ვიდრე ასეთი მოგების დაკარგვა.

ბოლოდროინდელი

საერთაშორისო თემაზე

ავსტრიის გზაჯვარედინი

ყველაზე ცვალებადი მორთულობა ვენის ცნობილ სასახლე კოშტუბურგისა, რომელსაც ფვიდი საუკუნის განმავლობაში აშენებდნენ და გარდაქმნიდნენ ხოლმე, არის ალმები მის „კონგრესცენტრის“ შესასვლელთან: ისინი იცვლებიან იმისდა მიხედვით, თუ რომელი ქვეყნები მონაწილეობენ ლონისძიებებში, რომლებიც აქ ეწყობა. ამას წინათ მათი რიცხვი რეკორდული იყო — 142. სწორედ იმდენი, რამდენი სახელმწიფოც შედის გაერთიანებული ერების სამრეწველო განვითარების ორგანიზაციაში (იუნიდო), რომლის ადგილსამყოფელია ვენა.

იუნიდო ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაცია როდია ავსტრიის დედაქალაქში. აქ არის აგრეთვე ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო. მისი პარატი დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ატომური ენერგიის მშვიდობიან გამოყენებაში ხალხთა საკეთილდღეოდ. აქ არის ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია, წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა საერთაშორისო ფედერაცია, მშვიდობის საერთაშორისო ინსტიტუტი.

შარშან ვენაში მოეწყო მრავალი კონგრესი — 233. ეს რეკორდული რიცხვია. სწორედ ამიტომ „კონგრესთა საერთაშორისო ბიუროს“, რომელიც პარიზშია, ავსტრიის დედაქალაქი „1973 წლის კონგრესების ქალაქად“ გამოაცხადა.

ამჟამად ვენისაკენ მიპყრობილია ევროპისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება. აქ, როგორც ცნობილია, ჩვენი კონტინენტის ისტორიაში პირველად წარმოებს მოლაპარაკება ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ, რომელშიც მონაწილეობენ 19 სახელმწიფოს დელეგაციები. პრობლემატიკა, რომელსაც მოლაპარაკებები ისიოვენ, მეტად რთულია. მაგრამ დასახული მიზნის მიღწევა სარგებლობას მოუტანდა ევროპის ყველა ხალხს, პოლიტიკური დაძაბულობის შენელებას კონტინენტზე. ჩვენ გულწრფელად გვსურს, განაცხადა ავსტრიის პრეზიდენტმა იოსსმა ამას წინათ უცხოელი დიპლომატების წინაშე გამოსვლისას, რომ ვენის მოლაპარაკება წარმატებით დაგვირგვინდეს.

თავისთავად ცხადია, რომ ვენაში დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო შეხვედრებისა და კონფერენციების გამართვა დაკავშირებულია იქ არსებულ ხელშემწყობ პოლიტიკურ ატმოსფეროსთან. ამ შეხვედრების მოსაწყობად ვენის არჩევა მოწმობს აგრეთვე, რომ საერთაშორისო აღიარება პოვა ავსტრიის მუდმივი ნეიტრალიტეტის პოლიტიკამ, რომელიც შეესაბამება მისი ხალხის ძირეულ ინტერესებს.

ავსტრიის, იმ ქვეყნის დედაქალაქი, რომელიც, ასე ვთქვათ, ორი სამყაროს სოციალისტური და კაპიტალისტური სამყაროს საზღვარზე მდებარეობს. ჩვენს დღეებში გახდა ევროპის კონტინენტის კომუნიკაციების გადაკვეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი. ამიტომ შემთხვევით როდი იმყოფება აქ მრავალი უცხოელი კორესპონდენტი — უფრო მეტი, ვიდრე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ბევრ სხვა დედაქალაქში. 305 უცხოელი ჟურნალისტი წერს ვენიდან 565 „კლიენტისათვის“ — გაზეთებისთვის, რადიოსა და ტელევიზიისათვის, სიამაყით იუწყება გაზეთი „ვინერ ცაიტუნგი“.

— თუ გსურს დარწმუნდე, რომ ჩვენ ვცხოვრობთ „ევროპის გზაჯვარედინზე, შეხედე რომელიც გნებავს საგაზეთო კიოსკს ვენაში. იქ იპოვი ევროპის პრაქტიკულად ყველა ქვეყნის წიგნებს, გაზეთებს, ჟურნალებს. ყური დაუგდე. რა ენებზე ლაპარაკობენ ვენის ქუჩებში , — მითხრა ერთხელ ავსტრიელმა ეროვნამ.

იგი სავსებით მართალია. ვენა, მართლაც, ერთ-ერთი გაცხოველებული გზაჯვარედინია, სადაც ძალიან გარკვევით შეგიძლიათ იგრძნოთ ახალი პოლიტიკური იდეები ევროპის კონტინენტზე. აქედან შეგიძლიათ თვალი გაადევნოთ, მაგალითად, იმას, თუ როგორ ეხმაურებიან დასავლეთში თანამედროვეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს — ევროპის მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

— ევროპის უმშიშრობა ისეთი პრობლემაა, რომელიც შეეხება ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას, — მითხრა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხთა ავსტრიის ახალგაზრდობის კომიტეტის ხელმძღვანელმა ფრანც ნოიბაუერმა. — ამიტომ ჩვენ დადებითად ვაფასებთ ყოველ ინიციატივას ამ საკითხში.

ამ აზრს იზიარებენ აგრეთვე ქვეყნის ახალგაზრდობის სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელნი. და არა მარტო ახალგაზრდობისა.

— ევროპის უშიშროების ორგანიზაციის პრობლემა არაერთხელ განუხილავთ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების მეცნიერებს სიმპოზიუმებზე, რომლებსაც მშვიდობის საერთაშორისო ინსტიტუტი აწყობდა ვენაში — მეუბნება ამ ინსტიტუტის პრეზიდენტი, ცნობილი ავსტრიელი მეცნიერი გეორგ ფუქსი. — ჩვენი შეხვედრების მასალები გამოქვეყნებულია, და მასალებით სარგებლობენ მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობის ფართო წრეები.

მეცნიერთა შრომებისადმი მშვიდობის უზრუნველყოფის საკითხებზე მზარდ ინტერესს იჩენენ აგრეთვე პოლიტიკოსები, რომლებიც ცდილობენ გამოიყენონ მეცნიერთა დასკვნები თავიანთ პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

ავსტრიის საქმიანი წრეების წარმომადგენელნი, პოლიტიკური მოღვაწეები, მეცნიერები, რომლებსაც ამ ბოლო დროს ვესაუბრე, კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ ამჟამად ავსტრიის წინაშე დაისახა იმის კარგი შესაძლებლობანი, რომ ხელი შეუწყონ კონტინენტზე პოზიტიური ცვლილებების პროცესს — ცვლილებებისა, რომლებიც დაგვეხმარებიან გადავაქციოთ ევროპა დედამიწის ისეთ კონტინენტად, სადაც გამეფებული იქნება კეთილი ურთიერთობა ამ კონტინენტზე მოსახლე ყველა ხალხს შორის.

„ის ევროპა, რომელიც არაერთხელ ყოფილა აგრესიული ომების კერა, რომელებსაც კოლონიალური ნგრევა და მილიონობით ადამიანის ფალუკვა მოჰყოლია, სამუდამოდ უნდა ჩაბარდეს წარსულს, — ხაზი გაუსვა დასავლეთგერმანული ტელევიზიით გამოსვლისას გასული წლის მაისში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა. — ჩვენ გვსურს, რომ მისი ადგილი დაიკავოს ახალმა კონტინენტმა — მშვიდობის, ყველა სახელმწიფოს ურთიერთდამოსა და ურთიერთთანამშრომლობის კონტინენტმა“.

და აი ახლა ჩვენ მოწმე ვართ ევროპაში პოლიტიკური კლიმატის ძირეული გაჯანსაღებისა. „ცივი ომი“, რომელიც მეოთხედ საუკუნეს გრძელდებოდა, ადგილს უთმობს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების მშვიდობის, ურთიერთპატივისცემისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის ურთიერთობას. სწორედ ამ ვიზანს ისახავს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს და რომელმაც ყველაზე სრული გამოხატულება პოვა სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამით. ამ მიზნებს ემსახურება აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო მოღვაწეთა ვიზიტები საზღვარგარეთის ქვეყნებში. ავსტრიაში, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, კვლავ დიდ ინტერესს იჩენენ მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესის შედეგებისადმი, რომელიც შარშან გაიმართა მოსკოვში. მისი მონაწილე ძალების ფართო შემადგენლობით და მის მიერ შემუშავებული პლატფორმის მნიშვნელობით ეს კონგრესი უპრეცედენტო ისტორიაში.

მოსკოვის კონგრესის შედეგები, — განაცხადა თავის გამოსვლაში ამას წინათ ვენაში ავსტრიის კათოლიკე მუშა ახალგაზრდობის გაერთიანების ფედერალურმა მდივანმა ხ. ეტლინგერმა, — ძალიან კარგია და მათი მიჩქმალვა შეუძლებელია.

მშვიდობისმოყვარე ძალების მოსკოვის კონგრესის შედეგები — ეს არის საზოგადოებრიობის აზრის გამოხატულება, ხოლო მთავრობები თავიანთ საქმიანობაში ყურს უნდა უგდებდნენ ასეთ აზრს, — თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა რ. კირხშლეგერმა.

ყველგან, სადაც უნდა გამოსულიყვნენ მოსკოვის კონგრესის ავსტრიელი მონაწილენი, ისინი იხსენებდნენ მკაფიო და შინაარსიან სიტყვას, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვა ამ ფორუმზე.

— მისი სიტყვა, — მითხრა ფილოსოფოსთა საერთაშორისო კავშირის საპატიო პრეზიდენტმა, ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა ლ. გაბრიელმა, — შეიცავს თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო პოლიტიკის მდგომარეობის მკაფიო ანალიზს, ამ სიტყვაში მოცემულია ნათელი პასუხი უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რომლებიც კაცობრიობას აღელვებენ.

გასული წლის ივლისში ავსტრიამ მიიღო სპპატიო საბჭოთა სტუმარი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. მისმა ვიზიტმა კეთილსასურველი გავლენა მოახდინა ავსტრია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შემდგომ განკითარებაზე, ჩვენი ხალხების მეგობრობის განმტკიცებასა და განრმავებაზე.

ქვეყნის დემოკრატიული ორგანიზაციები ემზადებიან, რომ აღნიშნონ ღირსშესანიშნავი თარიღი—ავსტრიასა და სსრ კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 50 წლისთავი, რომელიც 25 თებერვალს სრულდება.

...ევროპის პატარა ქვეყანა — ავსტრია, რომელმაც თავისი საგარეო პოლიტიკის უმაღლეს პრინციპად მუდმივი ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, ცდილობს თავის ურთიერთობას მეზობელ სახელმწიფოებთან — მიუხედავად იმისა, თუ როგორი საზოგადოებრივი წყობილებაა ამ სახელმწიფოებში, — საფუძვლად დაუდოს პატივისცემისა და კეთილმეზობლობის სულისკვეთება. მისი მოქალაქენი, ისე როგორც ევროპის სხვა ქვეყნების ხალხები ყველაზე მეტად დაინტერესებული არიან მშვიდობის შენარჩუნებით, უშიშროების უზრუნველყოფით, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გაფართოებით.

ა. ურბანი.
(საკდესის კორ.).

ტელეტაიპის ლენტიდან...

13 თებერვალი

□ ლონდონი, (საკდესი). როგორც ტელ-ავივიდან იტყობინებიან, ისრაელის შეიარაღებული ძალები გოლანის მაღლობებზე საბრძოლოდ არიან გამზადებული.

□ კაირო, (საკდესი). აქ საბჭოთა კულტურულ ცენტრში გაიმართა საბჭოთა ხალხისა და პალესტინის არაბი ხალხის მეგობრობის საღამო. სსრ კავშირის სავლენოს წარმომადგენელმა საბჭოთა ქალების კომიტეტის სახელით პალესტინელ ქალთა საყოველთაო კავშირს კაიროში საჭურჭნად გადასცეს მედიკამენტები, ტანსაცმელი და სხვა საქონელი.

პალესტინელ ქალთა კაიროს საყოველთაო კავშირის პრეზიდენტმა სამირა აბუ გაზალიმ და პალესტინის განთავისუფლების კაიროს ორგანიზაციის წარმომადგენელმა ჯაალა ას-საურანიმ გულწრფელი მადლობა უძღვნეს საბჭოთა ხალხს დახმარების და მხარდაჭერისათვის.

□ ლონდონი. (საკდესი). ლუსაკიდან მიღებული ცნობების თანახმად, საფოსტო ამანათში ჩადებული პლასტიკური ბომბის აფეთქებით განმათავისუფლებელ მოძრაობათა ცენტრის შენობაში მოკლულია სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის წარმომადგენლის მოადგილე ზამბიაში ჯონ დუბე.

□ კაირო. (საკდესი). დამთავრდა სუეცის არხის დასავლეთ ნაპირიდან ისრაელის ჯარების გაყვანის მესამე ეტაპი. როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალების წარმომადგენელი იუწყება, ისრაელის შეიარაღებული ძალები გუშინ გაიყვანეს ტერიტორიიდან, რომელიც მდებარეობს ფაიდისა და გინეიფის დასახლებულ პუნქტებს შორის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალების ქვეგანაყოფები, რომლებიც ამ რაიონში შევიდნენ, დღეს გადასვლიან მას ეგვიპტის არმიის წარმომადგენლებს.



ITALIA

ITALIA

ITALIA

სალომე ყანჩელის შემოქმედებითი საღამო

ვოცნებობ განვასახიერო ქართველი დედა

დიდი ესპანელი პოეტი და დრამატურგი ფედერიკო გარსია ლორკი ამბობდა: „ტეშმარიტ თეატრს, მართალ გზას რომ მიაგნოს ყველა ეპოქაში — ტრაგედიიდან ვოდევილამდე, — შეუძლია მოკლე დროში აამაღლოს ხალხის სული“. დასაბამიდან ასე იყო, მას შემდეგ, რაც ჩვენს შემეცნებაში თეატრმა დაიმკვიდრა თავისი მუდმივი ადგილი, იგი გადაიქცა მეჭად, სადაც მაყურებელი პოულობს დიდ სულიერ საზრდოს და მერე ჩაფიქრებული, ამაღლებული, განწმენდილი უბრუნდება თავის ყოველ დღიურ საზრუნავს, დიდსა თუ პატარა საქმეს.

რუსთაველის თეატრს მუდამ ჰრწყინავალე მსახიობები ამშვენებდნენ. ისინი აძლევდნენ მის მაღალ ტერს სინათლესა და სიდიადეს. ყველა გაზუმერებელია თავისი ხელწერით, ერთი იმათგანია საქართველოს სსრ სახალხო არტისტი სალომე ყანჩელი. ქალური მომხიბლაობით ნათელმოსილი, პლასტიკური, გარდასახვის ოსტატი, რომელიც სრულყოფილად ფლობს თავისი როლების მეტყველების მუსიკალურ პარტიტურას, განაგებს იმ მხატვრული სახეების სცენურ სიცოცხლეს, ვნებათა ღელვას, ფსიქოლოგიურ შტრიხებს, რომელთა ხასიათების გამოძერწვისათვის მას არ დაუზოგავს ნიჭი, შთაგონება და ენერგია. მისი ამპლუა არ არის ცალმხრივი. შეუძლია ერთნაირი წარმატებით განასახიეროს როგორც კომიკური, ისე დრამატული როლები. გასწოვთ დარიმანდი, გონებამახვილი ხანუმა როგორ შემოფოფინდება ხოლმე თავისი „ხაბარდა“ კაბით სცენაზე, რა პლასტიკურია მისი ყოველი სცენური მოძრაობა, რამდენ იუმორს, მხიარულების ელჩატს გვთავაზობს. მერე სხვა სპექტაკლში ლორკას — ბერნარდა ალბას სახეს წარმოგვიდგენს, ზვიადსა და ასკეტურს. დესპოტური ბუნების დედაკაცს, რომლის ქრისტიანული ღვთისმოსაობის იქით, პირქუშ სულიერ სამყაროში შვილებისადმი ეგოისტური სიყვარული გაიელვებს ხოლმე. თუნდაც ამ ორი კონტრასტული სახის დაპირისპირება უკვე ნათლად მეტყველებს მსახიობის აქტიორულ ოსტატობაზე. ეს ყველაფერი გაგვახსენდა სალომე ყანჩელის შემოქმედებითს საღამოზე, რომელიც მის შობლიურ რუსთაველის თეატრში გაიმართა. რა მალე გაირბინა შემოქმედებითი წვის 30 წელმა. თითქოს გუშინ სწავლობდა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში.

მერე სალომე ყანჩელი ჯერ სოხუმის სახელმწიფო თეატრში მოღვაწეობდა, მერე რუსთაველის თეატრს დაუბრუნდა 1956 წელს და აქედან დაიწყო მისი შემოქმედებითი და არტისტული ბიოგრაფიის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი. განა შეიძლება დავიწყება იმ გარდასული სცენური სახეებისა, რომლებიც ჩვენს ხსოვნას შემორჩენია: ა. არბუზოვის „ირკუტსკის ისტორიაში“ მხიარული, მერე უეცრად დადინჯებული ოდნავ სევდიანი ვალია. შექსპირის „მეფე ლირიდან“ ავყია და ბოროტი გონერილა, ან კედევ დინჯი, ოცნებებით განათებული ლიზის სახე ნუშის „წვიმის გამყიდველიდან“, მერე კოხტამრუწა თალო ნ. აზიანის „უკანასკნელ მასკარადში“. გროტესკული ქალბატონი იანი ბრეხტის „სეჩუანელი კეთილი ადამიანიდან“, ლიდა პეტრუსოვა კოპოუტის „როცა ასეთი სიყვარულიაშია“ და სხვ.

შემოქმედებით საღამოზე სალომე ყანჩელს გულითადად მიუღოცეს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის, სოხუმის ს. ჭანქვას სახელობის სახელმწიფო თეატრის, კულტურის სამინისტროს, რუსთაველის და მარჯანიშვილის სახელობის, მოზარდ მაყურებელთა ქართული და რუსული თეატრების წარმომადგენლებმა. სცენის ოსტატს მიესალმნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები დ. ალექსიძე და მ. ჩახავა, რომელმაც რუსთაველის თეატრის სახელით მსახიობს გადასცა უძვირფასესი საჩუქარი — დიდი აქტიორის მაკო საფაროვა-აბაშიძის თეატრალური ემბლემა-გულსაბნევი. საღამოზე სალომე ყანჩელის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა ნაწყვეტები სპექტაკლებიდან — კ. ბუაჩიძის „ამბავი სიყვარულისა“, ბ. ბრეხტის „სეჩუანელი კეთილი ადამიანი“, გ. ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი“ და ა. ცაგარლის „ხანუმა“. საღამოს პირველი განყოფილება მიჰყავდა ბ. წიფურიას. მსახიობის შემოქმედებაზე ილაპარაკა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნ. ურუშაძემ.

უსაზღვროდ ბედნიერ, დაღლილ მსახიობს შევეკითხეთ. თუ თავისა ვინცელი არტისტული რეპერტუარიდან მოსთვის რომელი სახეა ყველაზე ძვირფასი. გვიპასუხა. რომ ბერნარდა ალბა. კითხვაზეც, თუ როგორი გმირის განსახიერებას ინატრებდა აქტორი მომავალში, სალომე ყანჩელმა გვითხრა: ჩემი დიდი სურვილია სცენაზე განვასახიერო ქართველი დედა.

ნ. ჯაფარიძე.

• • •

სურათზე: საქართველოს სსრ სახალხო არტისტი სალომე ყანჩელი თავის შემოქმედებით საღამოზე.

ა. ბაგბასიძის ფოტო.

ქრეტენდენტთა ჟანრებზე

დიდი დაძაბულობა ბიბლიოთეკა

პალმა-დე-მალიორკა. როგორც პეტროსიანის მწვრთნელი საერთაშორისო ოსტატი ზაიცევი პალმადან იუწყება, მეტოქეებს ერთმანეთთან ფრიად კორექტული ურთიერთობა აქვთ. ყოველი შეხვედრის შემდეგ ისინი ხახვრილივად არჩევენ პარტიას (ამას ჩვეულებრივ სხვა მატჩებში მეტოქეები ერიდებიან ხოლმე). ეს გარჩევა თავისებური. გოსმაისტერები, გასაგები მიზეზების გამო, არ ეხებიან სადებიუტო ნაწილს, მაგრამ დაწვრილებით განიხილავენ ფუა თამაშსა და ენდშპილში შექმნილ პოზიციებს.

მეათე პარტიაში პორტიშის მოგების მიუხედავად, მეტოქეთა მდგომარეობა. ცხადია, კვლავ ფრიად არათანაბარია. გოსმაისტერი სუეტინი მაინც მიიჩნევს, რომ უნგრელმა გოსმაისტერმა აშკარად „გამოიღვიძა“. მეათე პარტიაში პირველად გამოჩნდა „ნამდვილი პორტიშ“, რომლის დეპრესიული მდგომარეობიდან აღორავერი დარჩა.

მეთერთმეტე პარტიაში პეტროსიანი თეთრებით თამაშობდა. წინა ორი შეხვედრიდან განსხვავებით, ახლა დიდი ბრძოლა არ გამართულა. 19 სვლის შემდეგ ყაიმი აღინიშნა და ანგარიში კვლავინდებურად დარჩა 2:1 პეტროსიანის სასარგებლოდ.

როგორც საკვლევს კორესპონდენტი იტყობინება მეტოქეები ფრთხილად მოქმედებენენ, გულდასმით ფიქრობდნენ ყოველ სვლაზე. მსოფლიო ექს-ჩემპიონი, როგორც ჩანს ჯერ კიდევ ვერ გამოჯანმთელდა. ხეი გაცეცებული იყო და ამიტომ ერთ დღის შესვენებაც კი აიღო. უნგრელი გროსმაისტერი კი, ძალაყოფილი წინა შეხვედრაში გამარჯვებით, ამჯერადაც შაებიანი ღიმაყლობით თამაშობდა.

ორასამდე მაყურებელმა ნახა ბრძოლა, რომელშიც მეტოქეთა წანსები მუდამ თანაბარი იყო.

2 საათისა და 57 წუთის შემდეგ (აქედან პეტროსიანმა გამოიყენა 1.25. პორტიშმა — 1.32) პორტიშმა პეტროსიანს ყაიმი შესთავაზა. ეს უკანასკნელი ამ წინადადებაზე დათანხმდა.

მეტოქეებმა გაითამაშეს რეტის დებიუტი, რომელიც ახალნდურ დაცვაში გადავიდა.

დღეს, მეტოქეები ისვენებენ. მეთორმეტი პარტია ხვალ გაიმართება. თეთრებით ითამაშებს პორტიში.

შვიდი ქულის სხვაობით

თბილისის სპორტის სასახლეში ორი გამარჯვების შემდეგ ჩვენმა კალათბურთელებმა წარუმატებლობა განიცადეს. კაუნასის „ჟალგირისი“, რომელიც მანამდე ბოლო ადგილზე იყო, უკვე პირველ ტაიმში დაწინაურდა 14 ქულით — 39:25. შესვენების შემდეგ თბილისელმა დინამოელებმა რამდენადმე შეამცირეს სხვაობა და დამარცხდნენ ანგარიშით 70:77.

სპორტი საზღვარგარეთ

მსაჯს გული გაუსკდა

ტრაბზონი (ახალი ზელანდია) სტარტი მიეცა „ბრიტანულ თამაშებს“, რომელშიც 38 ქვეყნის 1.600 სპორტსმენი მონაწილეობს. პირველი ოქროს მედლები მოიპოვეს მძლეოსნებმა. მეტად დაძაბული გამოდგა სტაიერთა ასპარეზობა 10 კილომეტრზე. 7.000 მეტრზე ლიდერობდა მსოფლიოს რეკორდმენი ინგლისელი დეივიდ ბედფორდი, მაგრამ ბოლო სწორზე ჩამორჩა და თანამემამულეთა გამაყრუებელ ყიჟინაში ფინიშზე პირველი იყო ახალზელანდიელი 25 წლის ფერმერი დიკ ტეელორი — 27.46.4. ფინიშის სიმძაფრეს, როგორც ფრანს პრესს კორესპონდენტი იუწყება, ვერ გაუძლო... ერთ-ერთმა მსაჯმა და იგი იქვე უსულოდ დაეცა გულის გასკდომისაგან.

ხუთიდღეანი ზრვის გაიმარჯვა ბელფასტელმა (ჩრდილოეთ ირლანდია) ოლიმპიურმა ჩემპიონმა მერი პიტერსმა, ხოლო ურო ყველაზე შორს ტყორცნა ინგლისელმა იან ჩიპჩეიზმა — 69,56 მ.

სპორტი

კ. პაიჭაძე

გარდაიცვალა შრომის ვეტერანი, სსრ კავშირის საპატიო რკინიგზელი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1929 წლიდან, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის რკინიგზის სატრანსპორტო კანტორის ყოფილი უფროსი კაპიტონ პეტროვიჩ-ძე პაიჭაძე.

კ. პაიჭაძე დაიბადა 1901 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ინჭიჭეთში. თბილისის რკინიგზის საწარმოებში მუშაობასთან ერთად იგი ცოდნას იღებდა მუშათა ფაკულტეტზე, რის შემდეგ სწავლა განაგრძო ამიერკავკასიის რკინიგზის საინჟინრო ინსტიტუტში, რომელიც 1935 წელს წარმატებით დაამთავრა. მან განვლო სახელოვანი გზა რიგითი მუშადან ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ერთ-ერთი წამყვანი განყოფილების უფროსამდე.

დიდი სამამულო ომის წლებში კ. პაიჭაძე ძალისა და ენერგიის დაუზოგავად შრომობდა და თავისი ღვაწლი შეიტანა ფრონტის დროულად მომარაგებაში. მისმა ცოდნამ და გამოცდილებამ თავი იჩინა ომისშემდგომ წლებში ასიათასიანთა მოძრაობაში, რომლის ერთ-ერთი წამომწყები და ორგანიზატორი თვითონ იყო. კ. პაიჭაძის რაციონალიზატორულმა წინადადებებმა რკინიგზაზე დიდი ეკონომია მისცა.

პენსიაზე გასვლის შემდეგაც კ. პაიჭაძე არ მოშორებია საყვარელ საქმეს, ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის რკინიგზის ტრანსპორტს. პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს კ. პაიჭაძის თავდადებული შრომა. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, აგრეთვე მედლებით.

ღვაწლმოსილი მუშაკის, უანგარო და შრომისმოყვარე ადამიანის კ. პაიჭაძის ხსოვნა მუდამ დარჩება ყველას გულში, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს სსრ მფლობელთა სამინისტრო, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო.

მივლინებაკ მკითხველის თხოვნით

ერთი უსასრულო დავის ისტორია

რედაქციაში მრავალი განცხადება, მამხილებელი წერილი შემოდის, ამ განცხადებების უკან მშრომელი ადამიანები დგანან, ავტორები მოითხოვენ ყურადღებით მოეკიდონ მათ სიგნალებს, დაეხმარონ სიმართლის დადგენაში. აი ერთი მათგანი საკმაოდ გახმაურებული საქმე: აგრაფინა და ლუბა ლიპარტელიანებისა.

რამდენიმე წელია ლიპარტელიანები წერენ განცხადებებს აფხაზეთის თითქმის ყველა ინსტანციაში და სხვა შემდგომ ორგანოებში. სამართლიანობა მოითხოვს თქვას, რომ მათს განცხადებებს მსვლელობა მიეცემული აქვს. წინა წლებში და დღესაც ამ საქმეზე მრავალი კომისია მუშაობდა და მუშაობს. აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან, პარტიის სოხუმის რაიკომიდან, რაისაბჭოს აღმასკომიდან, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან კომისიები არკვევდნენ ლიპარტელიანების მიერ აღძრული საკითხების სოხუმის რაიონის სოფელ კილასურის კოლმეურნეობა „წინსვლაში“, „ემბრისში“ და კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობაში.

კომისიების მონაკვლევი მასალები რამდენიც ჯნებავთ იმდენია, მაგრამ საკითხს საბოლოო გადაწყვეტა მაინც არ ეღირსა. მონაკვლევი მასალების ერთადერთი შედეგი ის არის, რომ დადგინდა: უკანასკნელი სამი წლის მანძილზე აგრაფინა და ლუბა ლიპარტელიანებს კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობიდან ეკუთვნით შრომის ანაზღაურება ფულად — 1.009 მანეთი. ამის შესახებ ოფიციალური ცნობას იძლევა აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ლიპარტელიანებმა ამ თანხის მიღებაზე უარი განაცხადეს. ისინი დაჟობენ გარდა ამ თანხისა 1949 წლიდან ფულად და ნატურით კუთვნილი ანაზღაურების მიუღებლობას.

ავტორები კუთვნილი თანხის მიუღებლობაში ბრალს სდებენ აღნიშნულ კოლმეურნეობათა ყოფილ ხელმძღვანელებს (რომლებსაც წარამარა ცვლიდნენ) და, კერძოდ, კოლმეურნეობა „წინსვლის“ ბუღალტერს გ. ბენდელიანს, რომელიც ამჟამადაც აქ მუშაობს.

კოლმეურნეობა „წინსვლაში“ 1949 წლიდან 1957 წლამდე მუშაობდნენ აგრაფინა და ლუბა ლიპარტელიანები. 1957-1964 წლებში კი „წინსვლიდან“ გამოყოფილ კოლმეურნეობა „ემბრისში“. უკანასკნელ წლებში „ემბრისი“ შეუერთდა კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობას და 1971 წლიდან ლიპარტელიანები კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობენ.

ამ „გარდაქმნებისა“ და კოლმეურნეობათა ერთმანეთისაგან გამოყოფა-შეერთების პერიოდში ბუღალტერი გ. ბენდელიანი, ასე ვთქვათ, „აწესრიგებდა“ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ანგარიშსწორების საქმეს. ამ ამღვრეულ წყალში „თევზებს“ იჭერდა აგრეთვე ბუღალტერი მ. ჩულეფაც.

მდგომარეობის ადგილზე გულდასმით გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ შეუძლებელი ხდება იმის დადგენა 1949 წლიდან 1965 წლამდე მიღებუს თუ არა აგრაფინა და ლუბა ლიპარტელიანებმა კუთვნილი ანაზღაურება.

კოლმეურნეობა „წინსვლაში“ საამისო დოკუმენტები არ არის. საკოლმეურნეო წარმოებისა და ანგარიშსწორების წიგნები აფხაზეთის ცენტრალურ არქივშია ჩაბარებული. აქედან ამოწერილი ცნობების მიხედვით აგრაფინა და ლუბა ლიპარტელიანებს საბოლოო ანგარიშსწორებით ერგებათ მხოლოდ 1.009 მანეთი. ეს თანხა მოდის უკანასკნელ სამ წელზე და კოლმეურნეობის ხელმძღვანელები „გვარწმუნებენ“, რომ წინა ოცი წლის ნამუშევრებიდან მათ არაფერი არ ერგებათო!

მაგრამ არსად არ არის ეგრეთ წოდებული ფულისა და პროდუქტების მიღება-გაცემის უწყისები, სადაც ხელმოწერამ უნდა დაგვიდასტუროს განცხადებელთა სიმართლე ან სიყალბე? თვით ბუღალტერი გ. ბენდელიანი თავს იმართლებს და განმარტავს — რა ვქნა, როგორც წესი, უწყისები მოსპობილიაო. მეტად საეჭვო მტკიცებაა!

ყურადღებას იქცევს საქმის მეორე მხარეც. კოლმეურნეობები შრომადღეზე ძალიან ცოტას ანაწილებდნენ. ამის შედეგად კოლმეურნეები ძირითადად ხელმოკლედ ცხოვრობენ. ბუღალტერმა ბენდელიანმა კი პირადი ცხოვრება კარგად მოაწყო, შვილისათვის დიდი სახლი წამოიზარდა სოფელ ბესლეთში და უჩვეულო ქორწილიც გადაუხადა. კოლმეურნეები აცხადებენ; რით და რა სახსრებით გააკეთა ყოველივე ეს? ამ ეჭვს ის აძლიერებს, რომ კოლმეურნეობაში საბუღალტრო საქმეები წმინდად როდი გამოიყურება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ განცხადების ავტორები, კოლმეურნე ქალები ყველაფერში სწორი როდი არიან. შეუწყნარებელია ის ფაქტი, რომ განაწყენებულმა კოლმეურნეებმა აგრაფინა და ლუბა ლიპარტელიანებმა 1972-1973 წლებში მიჩენილი ნაკვეთიდან შიღებული თამბაქოს მოსავალი არ ჩაბარეს კოლმეურნეობას და დღესაც 500 კილოგრამზე მეტი ხმელი თამბაქო სახლში უწყვიათ!

ეხება იმის შედეგია, რომ კოლმეურნეობები და თვით კოლმეურნეთა მუშაობაში უწესრიგობა, უდისციპლინობა, არევ-დარევაა გამეფებული.

კოლმეურნეობა „წინსვლა“ წლების მანძილზე წინ კი არ მიდიოდა, არამედ უკან! ასეა კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობაშიც. ამაზე თვით ფაქტები მეტყველებენ. მაგალითად, წინა წლებს თავი რომ დავანებოთო, 1972 წელს „წინსვლაში“ წარმოებული იქნა 471 ცენტნერი თამბაქო, ნაცვლად 490 ცენტნერისა, 12,6 ცენტნერი ბოსტნეული ნაცვლად 980 ცენტნერისა, 307 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად 1.500 ცენტნერისა. არ შესრულებულა ყურძნის, ხილის წარმოების გეგმები, სულ სხვადასხვა დარგის ზარალმა 22.002 მანეთი შეადგინა. ჩამორჩენა 1973 წელსაც გრძელდებოდა და ზარალმა 30.407 მანეთს მიაღწია. კოლმეურნეებს 1973 წლის შრომის გარანტირებული ანაზღაურება ერგებათ 74.453 მანეთი. ეს თანხა დღემდე გაუცემელია.

უფრო უარესი მდგომარეობაა კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ 1971-1972 წლებში სანახეგროდაც არ შესრულებულა თამბაქოს, სიმინდის, ყურძნის, ხორცის, რძის წარმოების გეგმები, ხოლო ხილის, ლიმონის, სოიას, კარტოფილის არცერთი კილოგრამი მოსავალი არ მიუღიათ! თუ 1971 წელს სულ ზარალი იყო 21.005 მანეთი, 1972 წელს ზარალმა 26.247 მანეთი შეადგინა. ამ კოლმეურნეობას 1953 წლის შრომის ანაზღაურება გასაცემი აქვს 30.981 მანეთი, მაგრამ ფული არა აქვთ.

მოკლედ, ეს კოლმეურნეობები ძალიან ცუდად მუშაობენ. რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები, მართალია, სახავენ ამ კოლმეურნეობებში მდგომარეობის გამოსწორების ღონისძიებებს, თავმჯდომარეები ხშირად იცვლებიან, ზოგიერთი მათგანი დაშვებული დარღვევისათვის პასუხისგებაშიც მისცეს, მაგრამ მდგომარეობა მაინც არ სწორდება.

კოლმეურნეობა „ემბრისში“ მუშაობის დროს ფინანსური და სხვა დარღვევებისათვის მის თავმჯდომარეს 3 სტაკეტოპულოს პარტიის სოხუმის რაიკომმა გამოუცხადა სასტიკი საყვედური. უცნაურია ის, რომ ეს კაცი ამ რამდენიმე თვის წინათ უფრო დიდ — კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს!

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ აფხაზეთის შესაბამისმა ორგანოებმა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

კოლმეურნეების აგრაფინა და ლუბა ლიპარტელიანების გაჭიანურებულ საქმეს ახლა მაინც უნდა ეშველოს.

ნ. ჯანჯღავა,
ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ᲐᲥᲛᲘᲜᲓᲘ

დღეს, 14 თებერვალს **დასავლეთ საქართველოში** მოსალოდნელია უნალექო ამინდი, რაონის ხეობაში იქროლებს წამში 7-12 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 9-14, მთაში 4-9 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში უმეტესად უნალექო ამინდი იქნება, აღმოსავლეთ რაიონებში ზოგან ნისლი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 7-12 გრადუსი სითბო, მთაში 2 გრადუსი ყინვა-3 გრადუსი სითბო.

თბილისში უნალექო ამინდია მოსალოდნელი, დილით ნისლი, ტემპერატურა 10-12 გრადუსი სითბო.

„ᲒᲝᲠᲓᲐ“— ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘ

სურათზე: საქართველოს სსრ სახალხო არტისტი სალომე ყანჩელი თავის შემოქმედებით საღამოზე.

ა. ბაგბასიძის ფოტო.

ბარბაზმი ბნელა, მხოლოდ სცენაზეა სინათლე. სიბნელიდან ისმის — ერთი... ორი... ერთი... ორი... არ ვარგა! თავიდან.... მოეცვალეები კულისებისაკენ შებრუნდნენ. ცეკვა თავიდან დაიწყო... და მერამდენედ — „არ ვარგა!“. ხელმძღვანელი უკმაყოფილოა. ღამის 11 საათია. რეპეტიცია კი შვიდზე დაიწყო. ახსამბლი მინსკში გასამგზავრებლად ემზადება, სადაც საკავშირო ფესტივალში გამარჯვებულთა დასკვნითი კოსცერტია.

დიახ, ლაპარაკია ლაურეატ კოლექტივზე, რომელიც სახალხო ანსამბლის საპატიო წოდებას ატარებს. იგი 40 წელზე მეტია, რაც ჩვენს საუკეთესო საშემსრულებლო კოლექტივებს ღირსეულად უმშვენებს მხარს. „გორდა“ — ასე ჰქვია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა ცეკვის ანსამბლს.

ინსტიტუტის დაარსების დღიდანვე, აქ, ისევე როგორც სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, სათანადო ყურადღება ეთმობოდა სტუდენტთა ესთეტიკურ აღზრდას. 1945 წლიდან ცეკვის ანსამბლს სათავეში ჩაუდგა ცნობილი ქართველი ქორეოგრაფი ნიკოლოზ გარუჩავა. პირველი დიდი წარმატება ანსამბლმა მოიპოვა 1948 წელს, როდესაც გაიმართა ქ. თბილისის უმაღლესი სასწავლებლების მხატვრული კოლექტივების დათვალიერება. მაშინ ანსამბლმა პირველი ადგილი დაიკავა.

სხვადასხვა დროს ანსამბლთან იმუშავეს ნიჭიერმა ქორეოგრაფებმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ავთანდილ თათარაძემ და ოთარ კალანდაძემ. ხოლო ეს უკანასკნელი 14 წელია, „გორდას“ მხატვრული ხელმძღვანელი და ქორეოგრაფია საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მე-6 მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი ბესიკ სვანიძე.

ამ ხნის განმავლობაში სოფლის მეურნეობის მომავალ მუშაკთა შემოქმედებას გაეცნენ საზღვარგარეთის 21 ქვეყანანში. ბელგია, ფინეთი, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა, კუბა, პოლონეთი, სირია, გერმანიის დემოკრატიული და ფედერაციული რესპუბლიკები — აი ამ ქვეყნების არასრული სია.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო გასტროლები ამომავალი მზის ქვეყანაში — იაპონიაში. იაპონიაში გამგზავრების წინ ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო მოსკოვში გამართულ კონცერტში. აი რას წერდა ამ გამოსვლაზე გაზეთი „პრავდა“, „კონცერტის მარგალიტად შეიძლება მივიჩნიოთ მზიური საქართველოს წარმომადგენელთა გამოსვლა“...

შარშან „გორდა“ გახდა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო ტელეფესტივალის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების საკავშირო დათვალიერებისა და მსოფლიო მე-10 ფესტივალისადმი მიძღვნილი, რესპუბლიკური და საკავშირო კონკურსების ლაურეატი. მას მიენიჭა ცნობილი ქართველი ქორეოგრაფის დავით ჯავრიშვილის სახელობის გარდამავალი პრიზი, რომელიც დაწესებულია წლის საუკეთესო თვითმოქმედი ქორეოგრაფიული კოლექტივისათვის.

გასულ წელს სასახარულო ცნობა მოვიდა თბილისში — ანსამბლი მიწვეულ იქნა საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში — ზეიმზე, რომელიც მიეძღვნა ორ თარიღს: საფრანგეთის ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის ყრილობას (იგი ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება) და ამავე კავშირის ჟურნალ „ავანგარდის“ იუბილეს.

18 ქვეყნის 1200 დელეგატისა და სტუმრებისათვის „გორდამ“ რამდენიმე კონცერტი გამართა. საინტერესოა, რომ ძირითად კონცერტზე ქართველ მოეცვლენენ 15 წუთი ჰქონდათ დათმობილი, მაგრამ მაყურებლებმა ისინი სცენიდან მთელ საათს არ გაუშვეს. განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა „ხვეულურულმა სიუიტამ“ და „მეიულურამ“. საფრანგეთის მრავალ გაზეთსა და ჟურნალში დაიბეჭდა ანსამბლ „გორდას“ წარმატებათა შესახებ. ერთ-ერთი ფრანგული ჟურნალი წერდა: „ქართველი გოგოხების გამოსვლა ყვავილების თაიგულს მოგვაგონებს“, საფრანგეთის ახალგაზრდობამ ქართველ მოცეკვავეებს გულითადი მახსოვნობა გაუწია. — გაიცინეს პარიზის ღიარშესანიშნობანაი, შემდეგ კი ქალაქები. — ივრი, გრენობლი, მარსელი, კანი, ნიცა და სხვ.

ანსამბლის გამოსვლა მრავალჯერ გადაიცა როგორც საკავშირო ტელევიზიით, ისე ინტერვიზიით.

ამ კოლექტივში ყოველთვის სიამოვნებით იგონებენ ყოფილ მოცეკვავეებს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ამ დიდ წარმატებებს. ზოგი მათგანი შემდეგ ხელოვნებას გაჰყვა, ზოგი კი ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თავისი სპეციალობით მუშაობს. ესენი არიან — გ. ბერიძე, გ. ნიშნიანიძე, გ. სელეფანაშვილი, ს. ჭაკვეანიძე, ი. გვარამია, ც. ჯაფარიძე, ე. გორდელაძე, ბ. ლამაზოშვილი, რ. საყვარელიძე, რ. ჯიქია, მ. ქარსელაძე, ზ. შეყრილაძე, გ. ბერიკაშვილი, ე. გრიგელიშვილი, ლ. უთმელიძე, ლ. მამაცაშვილი, ი. თინიკაშვილი, ნ. თათარაშვილი, ნ. ანდრიაშვილი და სხვები...

დღეს კი სტუდენტები — ნ. ომანიძე, მ. ნაზარაშვილი, დ. ჯაბურია, ნ. დაუშვილი, ნ. გოზიტაშვილი, გ. ჩაჩავა, ი. გველესიანი, ბ. ქართველიშვილი, ჯ. ჯმუხაძე, რ. კიკნაძე, ბ. თარალაშვილი, ზ. პაპიაშვილი, ლ. ჯიხვაძე, თ. ხოზაშვილი, ჯ. ჯანელიძე და სხვები კიდევ უფრო ამრავლებენ ანსამბლის სახელოვან ტრადიციებს, ახალ-ახალ წარმატებებს იჭიარ. დღითიდღე მდიდრდება ანსამბლის რეპერტუარი. მის ორგანიზაციებიან პროგრამაშია საქართველოს ყველა კუთხის ცეკვები...

ამას წინათ ანსამბლი დაბრუნდა ბელორუსიის დედაქალაქ მინსკიდან, სადაც წარმატებით გამოვიდა თვითმოქმედი კოლექტივების საკავშირო ფესტივალში გამარჯვებულთა დასკვნით კონცერტზე: მოიპოვა პირველი ადგილი და 2.000 მანეთი ფულადი ჯილდო. მაგრამ ახლა ეს უკვე განვლილი გზაა, ისტორიაა. 1974 წელს „გორდას“ ახალი გამოსვლები და გასტროლები ელის როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

Გ. ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ,
Ნ. ᲗᲝᲛᲘᲫᲔ.

• • •

სურათზე: ანსამბლი „გორდა“ ახალგაზრდა „მთიულურს“.

ნ. ფიფიას ფოტო.

მოსახლეობის მხედველობის მასობრივი გამოკვლევა

მხედველობის მასობრივი გამოკვლევა

მოსახლეობის მხედველობის მასობრივ გამოკვლევას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს თვალის დაავადებათა ადრეული გამოვლინებისათვის.

მართლაც, თუ ზოგ შემთხვევაში ავადმყოფს გარკვეული ჩივილები აქვს თვალის დაავადების საწყის პერიოდში, იგი დროულად მიმართავს თვალის ექიმს. მაგრამ ასე ვერ მოიქცევა მოქალაქე სხვა დანარჩენ შემთხვევებში, როდესაც თვალის დაავადება იწყება და მიმდინარეობს ფარულად და უმტკივნეულოდ, რაც არც ისე იშვიათია, ამ დროს ავადმყოფი დიდხანს ვერ ამჩნევს მხედველობის დაქვეითებას, განსაკუთრებით როცა დაავადებული აქვს მხოლოდ ერთი თვალი. მხედველობის დაქვეითებას ვერ ამჩნევს იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში მეორე თვალი კარგი მხედველია.

სწორედ ამიტომ თვალის ექიმთა ბრიგადები პერიოდულად ახდენენ მხედველობის მასობრივ შემოწმებას სკოლებში და ფაბრიკა-ქარხნებში.

ასეთი გამოკვლევების დროს ექიმთა ბრიგადები გამოავლენენ დაქვეითებული მხედველობის მქონე პირებს, რომელთა საფუძველიანი გამოკვლევა უკვე უნდა მოხდეს სპეციალურ თვალის კაბინეტებში.

ვფიქრობთ, რომ ზემოთქმულის შემდეგ არასპეციალისტისათვისაც ცხადია, რომ მხედველობის მასობრივ შემოწმებას დიდი პრიფილაქტიკური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამ დიდ საქმეს მარტო თვალის ექიმთა ბრიგადების დახმარებით ვერ გავწვდებით.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება მხედველობის გამოსაკვლევი ციფრული ცხრილები, რომელთა დახმარებით ყოველ მოქალაქეს შეუძლია თვითონვე შეიმოწმოს მხედველობა. ეს ცხრილები უკვე გამოზნდა ჩვენი ქალაქის რამდენიმე ხალხმრავალ ადგილას: № 1, № 3, № 13 აფთიაქებში და თბილისის მეტროპოლიტენის ლენინისა და მარჯანიშვილის სადგურების ვესტიბიულებში.

ციფრული ცხრილი თვითეულ ჩვენგანს შეუძლია შეიმოწმოს მხედველობა ექიმის დაუხმარებლად. ამ ცხრილებზე რეცხვები 10-დან 99-მდე აღნიშნავენ მხედველობას პროცენტებში. ცხრილასთან ერთად კედელზე დამაგრებულია შემდეგი **ინსტრუქცია:** „აქ შეგიძლიათ გაიხილოთ მხედველობა!“

ამისათვის დადექით ლიანონის დისკოზე (დამაგრებულია იატაკზე ცხრილიდან 5 მეტრზე), ან თეთრ ფრაზე და შეხედეთ ციფრულ ცხრილას, სადაც რიცხვები აღნიშნავენ მხედველობას პროცენტებში (10 პროცენტიდან 99 პროცენტამდე). ცხრილის გამოყენება ელექტროგანათლების გარეშე დაუშვებელია.

ხელის გული დაიფარეთ მარცხენა თვალზე (თვალზე ხელი არ დაეჭიროთ). მარჯვენა თვალით წაიკითხეთ რიცხვები ცხრილზე. თქვენს მიერ წაკითხულ რიცხვთაგან მნიშვნელობით ყველაზე დიდი რიცხვი (ზომით კი არა, რიცხვითი მ